

180

1937

1-6



საბჭოთა
სელოვნები

1937



ს ა ბ ჟ რ თ ა
ხელოვნება



№1
1937

ნ ო მ ე რ უ ნ ი

მოწინავე. ლენინიზმის ზეიმი	3
ვ. ვერესაევი. ა. ს. პუშკინი	7
ს. დანელია. „მოცარტი და სალიერი“ . . .	15
ა. ღვინიაშვილი. ა. პუშკინის ზღაპრები .	24
ზ. დადიანი, „პუშკინი საქართველოში“ . .	27
ლ. ასათიანი. ი. ჭავჭავაძე პუშკინის მთარ- გმნელი	33
ი. ენიკოლოპოვი. ალ. პუშკინი და ალ. ჭავჭავაძე	34
ი. ბალახაშვილი. პუშკინის „კავკასის ტყვეს“ პირველი ქართული თარგმანი . .	36
ბ. გოგოძე. პუშკინი და კინოხელოვნება. .	38
ს. ჭილაია. ა. პუშკინის დაბადებიდან 100 წლის იუბილე საქართველოში	43
მ. ბ. თუმანიშვილი. თბილისის ახალგაზ- რდობის ლიტერატურული წრე ასი წლის წინათ	47
ქრონიკა	54

პ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი

ა. ს. პუშკინი	
გ. ფ. შტეინის ნამუშევარი	6
პუშკინი თბილისში	
გრაფიურა ლ. ქუთათელაძისა	19

ყ დ ა ზ ე

ალ. პუშკინი	
პორტრეტი დუბლეჟსი, მხატვ. აბ. ჩხაიძისა	

პასუხისმგებელი გამომშვები —

კორექტორი—

მეტრამპაჟი—

ს. ი. აბულაძე

ს. ს. ხშიჩია

ბ. ი. ინოჯიანაძე

ილუსტრაცია დამზადდა სახელგამის ცინკოგრაფიაში. ცინკოგრაფები—

ბ. ნ. გობიჩაიშვილი

კ. მ. ალექსანდრე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 21, ტელეფონი 3-09-64

მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელ დღეებისა, 2-დან 5 საათამდე.

თბილისი. გამოცემის მესამე წელი. 3,5 ბეჭდვითი ფურცელი. მასალების ჩაბარება 28/I — 37 წ. ხელმოწერილია 7/III — 37 წ. შვკ. № 191. ტირაჟი 2500. მთავლიტი 10523. თბილისი. წერეთლის ქუჩა № 3/5. სახმედგამის 1-ლი სტამბა

Х сабчота №1 Хеловнеба №1

Журнал литературоведения и искусства

Орган Управления по делам искусств
при СНК ССР Грузии



საგადასახადო ხელშეკრულება

საგადასახადო ხელშეკრულების დადების შესახებ

სსსკ სახელმწიფო მატარებლის საგადასახადო ხელშეკრულების
პირობების შესახებ

კანონმდებლობით დადგინდული პირობების და
პირობების შესახებ დადგინდული პირობების შესახებ
დადგინდული პირობების შესახებ დადგინდული პირობების შესახებ

2014.

№ 1

1937

ღენინიზმის ზიანი

1924 წლის სუსხიანი თანვარი. მოსკოვი გლოვობს. გლოვობს მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი პროგრესული, მოწინავე კაცობრიობა.

გლოვობენ დიდ ლენინს. დიდი სტალინი, ლენინის უერთგულესი და უსაყვარლესი თანამებრძოლი, ბოლშევიკის შურევე ფიცს სდებს ბელადის ვაცეივებულ ცხედართან. სტალინის სახით ფიცს სდებს მთელი საბჭოთა ქვეყანა.

კამეტი წელიწადი გავიდა კაცობრიობის ისტორიაში ამ მომენტიდან. უღენინოდ, ლენინის დროშით სახელოვანი ბრძოლებსა და მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა კამეტი წელი, როცა ლენინიზმი ზეიმობს თავის სრულ გამარჯვებას, როცა დედაიწმინის ერთ მეექვსეღზე—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში—აღიმართა სოციალისტური საზოგადოების დიადი, წარმტაცი შენობა.

ბრწყინვალედ ასრულდა ფიცი, რომელიც დიდმა სტალინმა დასლო მშრომელი კაცობრიობის უფედავი ბელადისა და მასწავლებლის კლბოსთან. ბრწყინვალედ ასრულდა ფიცი, რომელშიც კონცენტრირებულია ლენინის ანდერძი და ბოლშევიკების ფოლადის პარტიის ნებისყოფა, საბჭოთა ხალხის ნებისყოფა.

სრულიად შეიცვალა საბჭოთა ქვეყნის სახე ამ კამეტი წლის მანძილზე. ამ კამეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში უძლიერეს, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ ინდუსტრიულ ქვეყნად, სოციალიზმის ქვეყნად, სადაც მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოისპო საზოგადოების კლასებად დაყოფის მიზეზები, მოისპო კაპიტალისტური, პარაზიტული კლასები.

წლები უღენინოდ, მაგრამ ლენინიზმის ბრწყინვალე შექმნით ხელში ჩვენს ქვეყანამ მეტყარად, შეუღრეკლად გაიარა ბოლშევიკების დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადისა და მასწავლებლის, ლენინის საჭმის დიდი გამგრძელებლის ამხანაგი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. მამაცურად მიემართება სოციალიზმის დიადი ზომალდი იმ ბრწყინვალე ნეასადგურისაკენ, რომელსაც სრულყოფილი კომუნისტური საზოგადოება ეწოდება, მეღვრად მივაბობს იგი კაპიტალისტური გარემოცვის ბნძმურ ტალღებს, რადგან ამ ზომალდს მეთაურობს მისი კაპიტანი, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა საყვარელი მამა და მასწავლებელი, საერთაშორისო კომუნისმის დიდი ბელადი ბრძენი სტალინი.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომლისკენაც მიყრობილია საერთაშორისო მუშათა კლასის თვალი, მოწინავე, პროგრესული კაცობრიობის თვალი; საბჭოთა კავშირში მთელი პროგრესული კაცობრიობა სამართლიანად ხედავს ერთადერთ ქვეყანას, სადაც ასე ბრწყინვალედ განხორციელდა ადამიანთა მრავალი თაობის მოწინავე წარმომადგენლების კეთილშობილური ოცნება, სადაც ისტორიის რკინის ლოკით გამოიქვდა სოციალისტური საზოგადოება აუყავდა ქეშმარიტი, საკაცობრიო კულტურა, სადაც ადამიანმა პირველმა მოახდინა ნახტომი—ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ,—აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოება—აი მეცნიერული კომუნისმის მამამთავართა სასუკვარი ოცნების სავანი, აი—დიდი ლენინის ცხოვრებისა და

ბრძოლის მიზანი, რომელიც კომუნისმის პირველი ფაზის სახით დღეს უკვე მიღწეული და განხორციელებულია საბჭოთა ქვეყანაში.

დიადი სტალინური კონსტიტუცია, საბჭოთა კავშირის ხალხთა ეს მესამე წიგნი კომუნის წარმოადგენს სოციალისტური სისტემის განვითარების და განხორციელების სტალინური გამარჯვებათა ბრწყინვალე გვირგვინს. იგი ასახავს საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური მონაპოვარს და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასს, წმრამელებს უჩვენებს გზას თავისი ბედნიერი მომავლისაკენ.

საბჭოთა კავშირი გახდა იმ ქვეყნად, სადაც სოციალისტური მეურნეობის გამარჯვებასა და ზრდასთან ერთად აყვავდა და გაიფურჩქნა ახალი, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა, გაიფურჩქნა ხელოვნების ყველა დარგი. ჯერ კიდევ 16 წლის წინათ კლარა ცეტკინთან საუბარებსა და წინასწარ შეთანხმებულ კომუნისტური ხელოვნების მომავალ აღორძინებაზე და ამბობდა: „ჩვენი მუშები და გლეხები ღირსნი არიან რაღაც უფრო მეტის, ვიდრე სანახაობა. მათ ნიღაც ნამდვილად დიდი ხელოვნების უფლება. ამიტომ ვაყენებ ჩვენ პირველ რიგში ყველაზე უფრო ფართო სახალხო განათარბებს და აღზრდას. ის ჰქმნის კულტურის ნიადაგს, — რესპუბლიკა, იმ პირობით, თუ პურის საკითხი ვადაწვევტილია. აქ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილად ახალი, დიადი კომუნისტური ხელოვნება, რომელიც თავისი შინაარსის შესფერფორმის შტჰქმნის“.

ბრწყინვალედ ასრულდა ლენინის ეს გენიოსური სიტყვები. სოციალისტური საბოლოოდ გამარჯვა ჩვენს ქვეყანაში, და საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნებაც დაადა არნახულ აყვავების გზას, დიადი კომუნისტური ხელოვნების გამოქვეყნისა და გაფურჩქენის გზას.

საბჭოთა ხელოვნების წარმატებანი ცნობილია და აღიარებულია მთელ მოწინავე, კულტურული კაცობრიობის მიერ. რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ: თეატრი, კინო, მხატვრობა, მუსიკა თუ სხვა, ყველგან საბჭოთა ხელოვნების წარმატებანი იქცეეს საყოველთაო ყურადღებას და აღფრთოვანებას. საერთაშორისო თეატრალურმა ფესტივალებმა მოსკოვში საქვეყნოდ გამოაფინა საბჭოთა თეატრალური კულტურის დიდი წარმატებანი, მოსკოვი იქცა თავისებურ თეატრალურ მეტად. საბჭოთა კინოსურათებმა „ჩაპაევი“, „ჩვენ კრონშტადტად ვართ“, „უკანასკნელი მსკარადი“ და სხვ. აღაფრთოვანეს მთელი ჩვენი ქვეყანა და უცხოეთის მოწინავე, კულტურული საზოგადოებრიობა.

არ არის მსოფლიოში ქვეყანა, სადაც სახელმწიფო ისე ზრუნავდეს და ეხმარებოდეს ხელოვნების მუშაკებს, როგორც საბჭოთა კავშირი. არ არის ქვეყანაზე პარტია, რომელიც ისეთი სათუთი, გულსხმიერი მზრუნველობით ეკურთბოდეს ხელოვნებას, როგორც კომუნისტური პარტია. არ არის ქვეყანა ადამიანი, ვინც ისე მამობრივი სიყვარულით დასტრიალებდეს თავს ხელოვნებას, როგორც ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის მამობრივი მზრუნველობით ვითარდება და იზრდება საბჭოთა ხელოვნება. ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა საბჭოთა ხელოვნების, ლიტერატურის ნამდვილი ჰემშირიტი გზა — სოციალისტური რეალიზმის გზა, რომელსაც მივყევართ ხელოვნების ჰემშირიტად ამაღლებული, წარმატაი ნიმუშების შემქმნისაკენ.

ამხანაგი სტალინის და მის ერთგულ თანამებრძოლთა მზრუნველობით და დახმარებით საბჭოთა კავშირში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ვითარდება და იფურჩქნება ნამდვილად ხალხური, საბჭოთა ხელოვნება.

დიდი სტალინის ერთგული მოწინავე ამხანაგ ლავრენტი ბერიას ენერგიული დახმარებით და მზრუნველობით საბჭოთა საქართველოს ხელოვნება მოწინავე პოზიციებზე გამოდის და ღირსეულ ადგილს იკავს. ქართული ხელოვნების ტრიუმფი მოსკოვში, საქართველოს მხატვართა შესანიშნავი ნამუშევრები გვირგვინი კომუნისტური პარტიის ისტორიის და თანამედროვე საქართველოს თემებზე, რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრების წარმატებანი, საქართველოს კინომრეწველობის უკანასკნელი მაღალხარისხოვანი პროდუქცია — ყველაფერი ეს მოწინავე ხელოვნების ყველა დარგის აყვავებას და ზრდას საბჭოთა საქართველოში. საბჭოთა ხალხი შეზარის თავის უმესანისნავეს და უდიდეს მიღწევებს ხელოვნების დარგში, შეზარის ჩვენი სამშობლოს წარმატაი სოციალისტურ სინამდვილეს. მკარამ მტრები იარაღს არ ჰყრიან, თავიანთი უკანასკნელი პოზიციების

დაკარგავსთან ერთად ისინი უფრო და უფრო აძლიერებენ კბილა ღრქნას და ყოველი გზით ცდილობენ სოციალიზმის ძირის გამოთხრას, ჩვენი ქვეყნის დაზრუნებას უკან,—კაპიტალიზმისაკენ.

საერთაშორისო რევოლუციის, მისი სისხლიანი ფაშისიზმის აგენტები, კონტრრევოლუციონერი — ტროცკისტები-ზინოვიეველები, მემარჯვენე ვაჭურები ცდილობდნენ და ამაღლებდნენ ჩვენი ქვეყნის დამარცხებას ახალ იმპერიალისტურ ომში, მის დაქუცმაცებას იმპერიალისტურ ქოფაკებს შორის, საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენას, საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადების, ხელმძღვანელების მკვლელობას, დიდი **სტალინის** მკვლელობას, ისინი ცდილობდნენ და ამაღლებდნენ ლენინ-სტალინის საქმის დამარცხებას.

საერთაშორისო ფაშისიზმის ობერ-შეიმი ტროცკი, გესტაპოს მოსყიდული აგენტები, ჯაშუშები და დიფერსანტები ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, რადეკი და სხვ. ქვეყარმაგალნი ცდილობდნენ ზურგში მახვილი ჩაეკათ ჩვენი ქვეყნისათვის, საბჭოთა ხალხისათვის. გესტაპოს დაქირავებული მკვლელები, ფაშისიზმის სისხლიანი ქოფაკები საქართველოშიც აღმზინდნენ. არამზადა ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, პ. აღნიაშვილი და სხვ. კაპიტალიზმის რესტავრატორული იდეით აყეფებულნი ამაღლებდნენ ა. - ქ. და საქართველოს მშრომელთა საყვარელ ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მკვლელობას. აი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მტრები, აი ფაშისიზმისა და გესტაპო-ტროცკის ლეკვები, რომლებმაც გაბედეს და სოციალიზმის წინააღმდეგ ხელის აღმართვა მოიწადინეს.

მაგრამ ანგარიში მოტყუდნენ ეს არამზადები. პროლეტარული რევოლუციის ერთგულმა გუშაგებმა—სახელოვანმა ჩეკისტებმა—ისინი მშის სინათლეზე გამოათრის და მსოფლიოსათვის აშკარა გახადეს მათი კონტრრევოლუციური მხეცური ბუნება; პროლეტარულმა მართლმსაჯულებამ მთელი ქვეყნის მშრომელებისათვის ვააშიშვლა კაპიტალიზმის რესტავრატორთა ხელოვნური ბანდის ნამდვილი სახეები, რომლებიც უსაზიზღრესი და უსადაგლესი ხერხებით ცდილობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ერთადერთ საშრობლოს—საბჭოთა კავშირის დამხობას.

მაგრამ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც შესძლებს ჩვენი დიდი საშრობლოს დამარცხებას, სოციალიზმის დამარცხებას. დაე, იყუფონ საერთაშორისო ფაშისიზმის პირისხლიანმა ქოფაკებმა. მათი ზეალინდელი დღე—ეს მათი აგენტურის—ზინოვიევი-პიატაკოვის ჯგუფის დღევანდელი დღეა, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის სამსჯავრო მათაც გამოუტანს შესაფერ განაჩენს.

ლენინის გზით, ლენინიზმით ხელში გაიმარჯვა ჩვენმა ქვეყანამ, გაიმარჯვა სოციალიზმმა. უძლეელია საბჭოთა კავშირი, რადგან საერთაშორისო კომუნისმის საქმეს მიუძღვის და მეთაურობს დიდი ლენინის დიდი თანამებრძოლი, ყველა ქვეყნის მშრომელთა საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, რომლის გენია ანათებს მსოფლიო კომუნისმის გზას და რომელიც ლენინის საქმეს მიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე მთელს მსოფლიოში.



ა. ს. ვაშაძენი

3. დ. შტეინის ნამუშევარი



ბ. ს. ჰუმბინი

ბიოგრაფიული ნარკვევი

ალექსანდრე სერგეის ძე ჰუმბინი დაიბადა მისკოეში 1799 წლის 26 მაისს ძველი სტილით, 6 ივნისს ახალი სტილით. მამა მისი სერგეი ლევის-ძე იყო აზნაურის ძველი გვარეულობის მემკვიდრე, მას ათას „სულზე“ მეტა ყმა ჰქონდა, მაგრამ მეურნეობას უფრადობდას არ აქცევდა და განაწილებდა მამულებიდან შემოსავალს ნაკლებად ღლებულობდა. უყვარდა მაღალ საზოგადოებაში დროსტარება, წერდა ლექსებს, იცნობდა მაშინდელი დროის ბევრ გამოჩენილ მწერსა. პატარა ჰუმბინი ბავშვობიდანვე იზრდებოდა ლიტერატურული ინტერესთა შორის. ჰუმბინის დედა, ნადიგდა ოსიპისხელი „პეტრე დიდის არაბის“ აბრამ ჰანბალოს შვილიშვილი იყო. ჰანბალი იყო აბსინელი მთავრის შვილი. იგი მძევლად მოხდა კონსტანტინე-პოლში, საიდანაც რუსეთში ჩამოიყვანეს. ჰუმბინის გარეგნობასა და ხასიათში მოჩანდა მისი აფრიკული წარმოშობის მრავალი თვისება.

ჰუმბინის მშობლები ნაკლებად ზრუნავდნენ შვილებზე ბავშვობის ფრანგი ვამფლებების ხელში იზრდებოდნენ. სწავლაში ჰუმბინი ზარბაძე იყო, მაგრამ ძალიან დიერ შეუყვარდა კითხვა. უკვე მერვე წელს იწყო რეკსების წერა ცერანგულად: ჰუმბინის ოჯახში ისე, როგორც მაშინდელ თავდაზნაურთა ოჯახებში, სალაპარაკო ენად ფრანგული იყო ითვლებოდა და ჰუმბინი ბავშვობისას ფრანგულად უკეთ ლაპარაკობდა, ვიდრე რუსულად. იგი თამაში, გონივრებაში და დაუღვარო ბავშვი იყო. მშობლებს იგი არ უყვარდა.

1811 წელს ჰუმბინი მიიბარეს ცარსკოი სელოს ლიცეიში—(ამჟამად დეტსკოე სელო) ახალდახასნოდ პრივილეგურ სასწავლებელში. ლიცეიში სწავლას ჰუმბინისათვის საერთოდ ბევრი არა მიუტკარა. ჰუმბინი სწავლობდა ცუდად და დაუდევრად, მაგრამ ძალიან ბევრს მუშაობდა თავის თავზე, კითხულობდა და ფიქრობდა. მისი ამხანაგები გრძნობდნენ, რომ იგი მათზე ბევრად უფრო ჭკვიანი და განათლებული იყო. მაგრამ ჰუმბინს აზრადაც არ მოსდიოდა ყოყორება დაეწყო. მისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გაესწრო ამხანაგებისათვის სირიბოლში, ანდა ერთი დავკრით წაქეცა ყველა კვილა. ჰუმბინი იყო გინეამახვილი, მოსკოვის წარი, დაუღვარო ბავშვი — „ანიკ“ როგორც იგი თავის თავს უწოდებდა. უფროსებთან დამოუკიდებლად ეჭირა თავი და უკვე პირველსავე კურსზე გახდა იმ მღუფარებათა წამომწყობი, რომლებიც გამოიწვია არაბოულარული ინსტიტუტის მართვით პილტვის წასვლა ლიცეიდან. ლიცეიში ლიტერატურა აყვავებული იყო, ბევრი მ-სწავლე ლექსებსა წერდა. მალე ჰუმბინმა მათ შორის პირველი ადგილი დაიკა. 1815 წლის იანვარში მას საჯარო გამოცდის დროს წაითხა თავისი ლექსები „მოგონებანი ცარსკოე სელოზე“, რითაც აღტაცებაში მოიყვანა მოხუკი პოეტ დიმიტრი, რომელიც გამოცდას დაესწრო. იმდროინდელმა უდიდესმა მწერალმა — კარამზინმა, ბატი-უშკოვმა, უტკსკიკიმ ვიაზეცკიმ — ახალგაზრდა ლიცე-

ისტის ჯერ კიდევ სუსტ ცდებში იგრძნეს ახალგაზრდა არწივი, რომელიც მდებარე შლიდა გასაფრენად თავის მძლავრ ფრთებს. ლიცეიში ჰუმბინი ძალიან ბევრს წერდა. მის ლექსებში, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი მიმბაძებლობდა იყო. ლიცეის პერიოდის პირველი ჰუმბინის უდარდელი ცხოვრებით დატკობისა ქონაგება ლინის, ლამაზი ქალების შექება, უდარდელი სიზარამცე, — ბატი-უშკოვისა და მეფობამეტე საუკუნის ფრანგ პოეტთა გავლენა. უფრო სუსტი იყო გავლენა უტკოვსკის რეალისტზე, ბურუსიანი და მეღანაილიური პოეზიისა, მაღან იგი ეწინააღმდეგებოდა ჰუმბინის ბუნებას. უფროს კურსებზე ყოფნის დროს ჰუმბინი გაეცნო ცარსკოე სელოში მდგომი ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის ოფიცერებს. გვარდიის იმდროინდელ ოფიცერთა უმეტესობა მეტად ოპოზიციურად იყო განწყობილი მთავრობის მიმართ. ოფიცერთა მუშევრობით ჰუმბინი საშუალება ჰქონდა გასცნობოდა მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალურ ოსხულებებს, რომლებიც ყველგან დიდი რაოდენობით გადადიოდა ხელიდან ხელში. ჰუმბინზე დიდი გავლენა იქონია პოლკის ერთ-ერთმა ოფიცერმა — შემდეგ სახელგანთქულმა ჩადაევმა, — დიდი ქუჩისა და უდიდესი განათლების მქონე ადამიანი. ჰუმბინის განვითარებასა და განათლებას მან უფრო მეტად შეუწყო ხელი, ვიდრე ლიცეის მიუღმა მეცნიერებამ.

1817 წლის ივნისში ჰუმბინმა და მისმა ამხანაგებმა დაამთავრეს ლიცეი. ჰუმბინმა სამახური დაიწყო პეტერ-ბურგის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში, სამხა-ბური არ იყო ძნელი, მას ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა. ჰუმბინი მთლიანად ატყობდა პეტერბურგის ბობოქარ ცხოვრებაში. სამი წელი, რომელიც ჰუმბინმა ლიცეის შემდეგ პეტერბურგში გაატარა, იყო ის წლები, როცა საქმით ახორციელებდა უდარდელი ცხოვრებით დატკობის ქადაგებას, — იმ ქადაგებას, რომლითაც დასავსე იყო მისი როგორც ლიცეის პერიოდის ლექსები, ისე ახლანდელი ლექსებიც.

„До капли наслажденье пей, — живи беспечен, равнодушен, — мгновенно жизни будь послушен, — будь молод в юности твоей!“

გატაცებით ცეკვავდა მაღალი საზოგადოების ძალებზე, ანატირთულ ყოფილა შეყვარებული, ქეიფობდა ოფიცერთა პიკიერებზე, ღამებზე ათედა მანქის თამაშში, გულმოდგინედ ესწრებოდა წარმოადგენებს. კარვად იცვამდა, იყო კარგი მოქიევი, რაც მასინ კარგ ტონად ითვლებოდა. თავზეხელაღებული, ამპარტავანი, ყოველ უმნიშვნელო საბაბზე მზად იყო დღეულში გასულიყო. ხოლო ამასთან ერთად ჰუმბინი მეუღლს საღამოებს ატარებდა ჩადაევთან საუბარში უაღრესად სერიოზულ თემებზე, ან კარამზინთან და მძებ ტურნეველითა. ყველა განცდიფრებაში მოჰყავდა ჭკუითა და ნკითხობით.

უღი დრო იყო. ალექსანდრე პოერელს პოლიტიკა სულ უფროდაუფერო რეპკითი ხიდგადა, შინაური საქმეების მმართველობის სათავეში იღვრა არაჭკიერი, რომ-

მელოც იმაზე ოცნებობდა, რომ რუსეთი მთავრობის ნება-სურვილის ბრმა შემსრულებელითა ყაზარბად გადაექცია; ქვეყანა გალატაკდა განუწყვეტელი ომებისაგან, სოფლის მწირებობაში მძიმეარებადა კრიზისი და ვადამწვეტი ცემონათორი რეფორმები ესაკრებოდა. გვხვობაც და მემანუელ თავად-ახნაურობაც დატყვდებოდა. სახლდარგარეთ ლაშქარობებში მონაწილე ახლავარდა ოციცრემს შემთხვევა ჰქონდათ საკუთარი თავითი ენახათ: დასავლეთ ევროპის უფრო თავისუფალი პოლიტიკური წყობილება, ყოველივე ეს იწვევდა მთავრობისადმი მკვეთარ მტრულ დამოკიდებულებას. ლიბერალურ თავად-ახნაურობაში ჩნდებოდა საიდუმლო საზოგადოებანი, რომელთა მიზანი იყო თვით-მპყრობლობის შეზღუდვა. პუშკინი გულმსმინი გამომსახველი იყო საზოგადოების ოპოზიციურ განწყობილებასა. მან მრავალი ეპიგრამი უძღვნა იმპერატორ ალექსანდრეს და მის თანაშემწეებს: „თავისუფლების ოღამა“ მიმართავდა შეფუცებს, რომლებსაც თავიანთი თავი მიუფუცებდა მიანდათ „წყალობითა ღვთისათა“:

„Владыки, вам венец и трон—даст закон, а не природа.—Стойте выше вы народа, —но вечный выше вас закон!“

ლექსში „სოფლი“ მკაცრი ფერადებით ხატავდა ყმა-გლეხობის საზიწმელ მდგომარეობას. მიმართავდა რა ჩაადიდეს, იგი სწერდა:

„Товарищ, верь, взойдет она,—заря пленительного счастья,—Россия вспрянет ото сна—и на обломках самовластья—напишет наши имена“. ეს ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა მთელს რუსეთში. არ დარჩენილა რამდენადღე მინც ცოდნისმოყვარე პრაპორაზნიკი, რომელსაც ზეპირად არ სცილდოდეს ეს ლექსები.

პეტერბურგის მღვდლად და ფუქსავატი ცხოვრების ტალღებში პუშკინი დროგამოშვებით წერდა თავის პირველ დიდ პოემას „როსლან და ლუდმილას“. ამ პოემის დაბეჭდვა ურდვის ლიტერატურული მოვლენა იყო. პოემის მსუბუქი, მშვენიერი ლექსი, სურათების მხატვრობა, უბრალო, ზიზოლპობილებისაგან თავისუფალი ენა, რომელსაც არ ეწინოდა ყველაზე უბრალო ხალხური გამოთქმებისა“—ყოველივე ეს სრულიად ახალ გზებს სახადა ლიტერატურაში. იმ დროის საუკეთესო პოეტმა ფუკოვსკიმ პუშკინს აჩუქა თავისი პორტრეტი წარწერით: „გამარჯებულ მოწვევს დამარცხებულ მასწავლებლისაგან“.

მაგარი ამასობაში პუშკინის თავზე შავი ღორბლები გროვდებოდა. მთავრობის ყურამდე მიაღწია მისა თავისუფლადმა ლექსებმა აღმოთთებულმა ალექსანდრე გადაწყვიტა გავგზავნა პუშკინი ციმბირის დადამწყველია იგი სოლოვკაში. მხოლოდ კარამზინისა და ფუკოვსკის გულმოდგინე შუამდგომლობის მოყვებით მოხერხდა მისი ბედის შემსუბუქება. პუშკინი გადასახლებს სამხრეთ, ეკატერინოსლავში (ამჟამად დნეპროპეტროვსკი), სამხრეთ-რუსეთის კოლონისტთა მთავარ მზრუნველთან გენერალ ინხოვთან სასახლეში. 1820 წლის 6 მაისს პუშკინი გაემგზავრა პეტერბურგიდან.

ნაპოლეონის ომების ეპოქის გამოჩენილი რუსი მხედართმთავარი გენერალი რავესკი თავისი ოჯახის წევრთა ერთადწარწოდა პეტერბურგიდან კავკასიის წყლებზე მიემგზავრებოდა დასაცენებლად. იგი ეკატერინოსლავში შეჩერდა. რავესკის შესაძენი ნიკოლოზმა, პუშკინის ძველმა მეგობარმა,

როგორც იყო მიავგო პოეტს ქალაქის გარეუბნის უბადრუკ კოხში. გაუპარსავა, ფერპრათა და ვახანდარი, სრულიად განმარტოებულ, მალარიის პაროქიაში: შეპყრობილი პუშკინი ხის სკამლოვინზე იწვია. მან შეიმარტუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა რავესკზე. გენერალ რავესკის თხოვნით გულკეთილმა ინხოვმა ნება დართო პუშკინს რავესკისთან ერთად წასულიყო კავკასიაში. კავკასიის წყლებზე პუშკინმა რავესკისთან მთელი ზაფხული გაატარა, ხოლო აუვისკოს დადევს მისთან ერთად ვაემგზავრა ყირიმს, გურუფში, სადაც ზაფხულს ატარებდა რავესკის ოჯახის დანარჩენ ნაწილში—მისი ცული და ორი უფროსი სამიწვილი, სამ კვირას დაჰყო პუშკინმა გურუფში. მაშრეთის ბუნება, ზღვა, მთები, რავესკების მხიარული ოჯახი, მისი ლამაზი ქალიშვილების სიტურფე სამუდამოდ აღიბეჭდა პუშკინის ხეხისერებაში, როგორც მისი ცხოვრების უბედნიერესი მხა.

იმ დროისათვის გენერალ ინხოვის კანცელარია ეკატერინოსლავიდან გადაიტანეს კიშინოვს (ბესარაბია). პუშკინი იქით გაემგზავრა გურუფიდან. მიყრუებულ კიშინოვში პუშკინი შეხვდა მთელ რიგ პირებს, რომლებიც ძალიან სასარგებლონი აღმოჩნდნენ მისი გონებრივი და პოლიტიკური განვითარებისათვის. ქალაქში დგა შტაბი დივიზიისა, რომლის სარდალი იყო გენერალი მხეილი ორლოვი, საიდუმლო საზოგადოების „კეთილდღობის კავშირის“ წევრი. მის ოფიცერთა შორის ბლომად მოპოვებულნი ჰქვიანდა ნიჭირი ადამიანები, როგორც პოდპოლკოვნიკი ლიპანჩი, მომავალი მწერალი ველტამინი და სხვ. განსაკუთრებით გამოირჩედა ორლოვის ორი ადულტანტი—კაპიტანი ოხოტნიკოვი და მაიორი ვლადიმერ რავესკი (რომელსაც ზემოთხეული ვენერალ რავესკისთან არავითარი ნათესაობა არა ჰქონდა). ორივე განათლებული, განსაკუთრებული ზნეობის ადამიანები იყვნენ. ორივე ირაციტებოდნენ „კეთილდღობის კავშირის“ წევრებად. სვით ორლოვი იყო ზომიერი ლიბერალი, მისი ადულტანტი კი უშიშარი, დაუღვავარი რევოლუციონერი იყვნენ, რომლებსაც საზოგადოების წევრებს შორის ყველაზე მეტარცხენე პოპულია ექიარი. „კეთილდღობის კავშირის“ სამხრეთის განყოფილება საერთოდ ბეკარად უფრო რადიკალური იყო, ვიდრე პეტერბურგის განყოფილება: პეტერბურგელებს სურდათ კონსტიტუცია თავდაზნაურთა უფლებებისა და მეამბეღობა მიწათმფლობელობის შეზღუდვებით; სამხრეთელები კი მიზანდ ისახავდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას თავდაზნაურთა პრივილეგიების სრული გაუქმებით. სამხრეთელებს სათავეში უდგა პოდპოლკოვნიკი პეტელი, —ჰქვიანი, ენერგიული, საუცხოო ორგანიზატორი, რკინის ნებისყოფის ადამიანი. პუშკინი ხედებოდა მას, როდესაც პეტელი კიშინოვში ჩამოდიოდა. კიევს გუბერნიის სოფელ კამენკაში, სადაც ზოგჯერ პუშკინი კიშინოვიდან სტუმრად ჩადიოდა, იგი ხედებოდა ეასილ დავიდივს, იაკუშკინს, —სენიცი საიდუმლო საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ. ყველა ამ ადამიანთ: ზეგავლენით პუშკინის ოპოზიციური განწყობილება უფრო ხტელს, უფრო დრმა და რევოლუციური ხდებოდა. ამას მისი უწყობდა ევროპის ამბებიც. ესანეთში, ნეაპოლში რევოლუციის ცეცხლი გუზგუზებდა. სამერნეთი აღდგა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ. პუშკინი არასოდეს არ უდროდა ისე რევოლუციურად განწყობილი, როგორც იმ დროს. იგი სწერდა:

„Вы, ветры, бури, вразите воды,— разрушите гибельный шлюп,— где ты гроза, символ свободы?— Прочнись поверх невольных душ!“

კომინოვი პუშკინმა დაწერა ლექსი „ხანჯალი“, სადაც იგი კვება-დიდებთა იხსენიება პოლიტიკურ ტერორს, დაწერა მწვერულ ვიბორთა ალექსანდრეზე („ოდლის ხმაზე აღზრდილი“) და სხვ.

პუშკინის პეტერბურგელმა მეგობრებმა მიახერხეს მისი გადაყვანა მიყოფილი კომინოვიდან სამხრეთ-რუსეთის კულტურულ ცენტრ ოდესსაში. პუშკინი ოდესში გადავიდა 1823 წლის ზაფხულს. ნოვოროსისისკის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა ვირონსკიმ პუშკინი გვლთბოილად მიიღო, შეიყვანა იგი ოდესის უნივერსიტეტში. პუშკინი გადაღებოთ დაეწყო ოდესის ცხოვრების სიტკბოებისა, დაიარებოდა იტალიურ ოპერაზე, ცეკვავდა მაღალ საზოგადოების ბალეტზე. პეტერბურგელ მეგობრებს იმედი ჰქონდა, რომ ვირონსკი უმსკლბოდა შეექმნა პუშკინსათვის ხელსაყრელი პირობები ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის მაგრამ ვირონსკი თავისი გარეგნული კულტურობის მიუხედავად, ამაყი ინდივიდი იყო, რომელსაც უყვარდა პირმოთენობა და მლიქვნელობა. პუშკინის პოეზია მას ოდნავდაც არ აინტერესებდა. მისი აზრით, პუშკინი სულად მიმამაძელი იყო ბაირონისა, რომელსაც იგი სრულიად ცარაფრად თვლიდა. პუშკინს იგი ვირონსკითან თავი დამოუკიდებლად ეჭირა, სრულიად არ ისე, როგორც გადასახლებულ კოლექსი სეკრეტარს, გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის დახალ მოსამაჟურს. ვირონსკი სულ უფრო და უფრო ცივად და ამაყად ეპყრობოდა პუშკინს. ზავნიდა მას დამამკირებელ მივლინებებში. ამინ პუშკინმა შეიტანა თხოვნა სასახურიდან განთავისუფლების შესახებ და გადაწყვიტა შედარებოდა ლიტერატურულად მუშაობას.


სახრით რუსეთში ყოფნის დროს პუშკინმა დაწერა მთელი რიგი ბაირონისებური პოემები — „აკაკისის ტყე“ „ბახჩისარის შადრევანი“, „ყაილი ძემბე“. საზოგადოებაც და კრიტიკოსებაც პოემებს აღფრთოვანებით შეხედნენ. კომინოვი პუშკინმა დაწერა ანტირელიგიური პოემა „გაგრილიადა“; ამ პოემაში იგი კანდნირად დასცინიდა მითს ქალწულ მარიამის მიერ სულისშინაღისაგან ქრისტეს „უბრწოდლ ჩასახვის“ შესახებ. ოდესში პუშკინმა დაიწყო „რევნი ონეგინი“.

გადასახლებულის შეზღუდულმა მდგომარეობამ, ვირონსკის მიერ დენა-შევიწროვებამ, ცენსურის პირობების გამო თავისუფალი შემოქმედების შეუძლებლობამ მიიყვანეს პუშკინი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ რუსეთიდან გაქცეულიყო. მან დაიწყო კონსტანტინოპოლში გასაქცევადა მზადება. ამეუ დროს ვირონსკი უფიხედ ზავნიდა პეტერბურგში დასმენას პუშკინზე. პუშკინისათვის პირდაპირი ბრალის დასადებად მას არავითარი მასალა არ მოეპოვებოდა: ოდესში პუშკინს ძალიან ფრთხილად ეჭირა თავი, ამასთან, ისე როგორც მრავალი დეკაბრისტის, სულ უფრო და უფრო კარგავდა რუსეთში სამხედრო რევოლუციის შესაძლებლობის რწმენას. ვირონსკი საერთოდ სწერდა, რომ ოდესა პუშკინში ავითარებს თავისუფლად აზროვნებას და დაეინებით ითხოვდა მის იქიდან მოშორებას. პოლიციამ ხელი ივდრო წერილი, სადაც პუშკინი თანავრწმობით წერდა ათეიზმზე, პეტერბურგიდან მოვლად მოწერილობა, რომ სასა-

ხურიდან განთავისუფლების ნაცვლად, რასაც პუშკინი თხოვლობდა, იგი გაიცილებოთ სასახურიდან და პოლიციის შეთვალურობის ქვეშ გავეზავნათ სპიკოვის გუბერნიის სოფელ მიხაილოვსკოეში, მშობლების მამულში. 1824 წლის 30 ივლისს ოდესის გრაფდონაშლინიკმა პუშკინი სპიკოვის გუბერნიის გაგზავნა.

მიხაილოვსკის გადასახლებაში პუშკინმა ორ წელიწადს დაჰყო. მას მოწყურებლობა ჰქვავდა, გაავთრებული იყო მთავრობის წინააღმდეგ განწყვეტილი დენისათვის. სულ უფრო და უფრო რწმუნებოდა, რომ რუსეთში მას არ ეცხოვრებოდა და კვლავ შეუდგა სახლფარგრეთ გაქცივის მოწყობას, მაგრამ მეგობართა არავინერულმა ჩარევამ ჩაშალა მისი გეგმები და იძულებული გახდა ხელი აეღო გაქცევაზე. მიხაილოვსკოეში განბარკრეებული მთებქილიღებებით ძუნწი ცხოვრების წლები ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა პუშკინის შემოქმედებისათვის. იგი ბევრს წერდა. დამათვრა სამხრის დაწყებული პოემა „ბოშოვი“, დაწერა ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“, „გრაფ ნულინი“, მრავალი ლირიკული ნაწარმოები, მუშაობდა „ევგენი ონეგინის“ გავრცელებაზე. პუშკინის ნიკი სწრაფად მწიფდებოდა და ღრუადებოდა. შეუქმნებოთ მიმამაძელია გაქრა, იზრდებოდა მოთხოვნები საკუთარი თავისადმი. მისმა შემოქმედებამ სრულ გაფურცების მიაღწია „გვრინბ,— წერდა იგი,— რომ ჩემმა სულსაბა ძალამ სრულ სიმწიფეს მიაღწია, შემოდის შემოქმედებითი მუშაობა“.

1825 წლის ნოემბრის დამდეგს გრადაცივლა იმპერატორი ალექსანდრე. 14 დეკემბრის სენატის მოვლანზე მოხდა სამხედრო აჯანყება, რომელიც იმპერატორმა ნიკოლოზმა ზარბაზნებით დათარგუნა. დაიწყო დეკაბრისტთა დაბატირება და დაკითხვები. პუშკინი ფიქრობდა, რომ მეფის შეცვლის შემდეგ შეეძლო განთავისუფლების იმედი ჰქონოდა. უყვარსკის მეგობრით მას სასოვა იმპერატორს, რათა ნება დაერთო თავისუფლად ეცხოვრა, ამასთან გამოთქვამდა აგულწრფელ სინანულს და მტკიცე განზრახვას არ წასულიყო საერთო მაღებული აზრებით და წესის წინააღმდეგ. შეუძლებელი იყო ამაზე უფრო არახელსაყრელი მომენტის ამორჩევა შემადგომლობისათვის. მართლობა, თვითონ პუშკინი არ ყოფილა საიდუმლო სასოვალისის წვერი, მაგრამ ითიყვის ყველა დაბატირებულს უბოვნეს მისი ლექსები: დაკითხვის დროს ბევრი უწეენება, რომ მაით რევოლუციური განწყობილებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიდა პუშკინის თავისუფლამ ლექსებმა. საკვირველი იყო, რომ პუშკინი არ დააბატირეს და სასტიკად არ დასაჯეს, როგორც მოძრაობის ერთგული ევლავდ საშოში სულისმამდგელი. ფიქრობენ, რომ კარაზინმა და უყვარსკიმ, რომლებიც პუშკინის ვადარჩენას ცდილობდნენ, ურჩიეს ნიკოლოზს— სჯობს პუშკინი ჩენს მხარეს ვადმოვყვანიოთ და გამოვიყენოთ მისი კალამი მთავრობის სასარგებლოდ. სწორედ ამ დროს მოუსწრო პუშკინის თხოვნა, რომელშიაც იგი თავის ცილდებში იწინებდა... ასე იყო თუ ისე, პუშკინისათვის ხელი არ უხლათ. დეკაბრისტთა საქმის კვლევამება დამთავრდა, ხუთი კაცი ჩამოაღრჩეს, ასამდე კაცი კატორგაში გაგზავნეს. 1826 წლის სექტემბრის იმპერატორი, გავიგვისის კურთხევის გამო, მოსკოვში იმყოფებოდა. მოულოდნელად მიხაილოვსკოეში ჩავიდა ფელდგერი და პუშკინი სპიკოვს გააქანა. სიცივისაგან აკანკალებული, ტალახით ამოთხუპული პუშკინი პირდაპირ სა-



პუშკინის ძეგლი თბილისში

სახლში მიიყვანეს და იმპერატორის კაბინეტში შეიყვანეს. მის და იმპერატორის შორის გაიმართა გრძელი საუბარი. იმპერატორმა ჰკითხა: „თქვენ რომ პეტერბურგში ყოფილიყავით, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას 14 დეკემბრის აჯანყებაში?“ პუშკინმა გაბედულად უპასუხა: „აუცილებლად, ხელმწიფეო. ყველა ჩემი მეგობარი თქვენს მული იყო და მე არ შემიძლო მონაწილეობა არ მიმიეღო ამ შეთქმულებაში“. ნიკოლოზმა ჰკითხა: „შეიცვალეთ თუ არა აზრი და იმღვიეთ თუ არა სიტყვას სხვაინაირად იფიქროთ და იმოქმედოთ თუ თავისუფლება მოგეჩიქებათ“. პუშკინი დიდხანს დუმდა, მაგრამ ბოლოს მისცა სიტყვა, რომ იგი სხვა ადამიანი გახდებოდა. შეიტყო რა, რომ პუშკინს ძალიან ავიწროვებს ცენზურა, ნიკოლოზმა გამოუცხადა, რომ თვითონ იქნება მისი ცენზორი. მან ხელჩაკეცილად გამოიყვანა პუშკინი მისაღებ თაბახს და მიმართა კარისკაცებს: — „ბატონებო, აი, იხევეთ ახალი პუშკინი. ძველი დავიწყებას მივცით“. მაგრამ აუდიენციის დროს პუშკინის მივლიმა საქციელმა ცხადყო ნიკოლოზისთვის, რომ პუშკინი არც თუ იმდენად „ახალი“ გახდებოდა. განა ასე გამოთქვავენ ადამიანებს მონანიებას? თავს არ იმცირებს, არ უარყოფს წარსულს, მხურვალე მადლობას არ უხდის პატივისცემისთვის, არამედ ჯერ დიდხანს ფერკობდა, მერყობდა... თითქოს ხელშეკრულებას დებდეს ყოვლისშემძლე თვითმპყრობელთან!

პუშკინმა მიიღო თავისუფლება და საცხოვრებლად მოსკოვში დარჩა. მოსკოვი პუშკინს აღუერთიანებოდა შეხება. საზოგადოებრივ ადგილებში ყურას თვალი მისკენ იყო მოპყრობილი, მას ყველანაირი პატივები აღუდნენ, იგი

ქალაქში ყველაზე პოპულარული კაცი გახდა. „შემდგომ წლებში პუშკინი ცხოვრობდა ხან მოსკოვს, ხან პეტერბურგს, ხან თავის სოფელში. ეწეოდა იგი ძალიან მრავალვად ცხოვრებას—ეწაფებოდა მაღალი საზოგადოების სწავლას, მატარებდა ახლობლებს ამხნეიდნენ მას როგორც სვედიან მოუხსენებობას. პუშკინს როგორც აწუხებდა, იგი ნაღვლიანად გამოიყურებოდა. და ამის საფუძველიც ჰქონდა: ის „წყალობა“, რომლითაც იგი მეფემ დააჯილდოვა იმ უფლებებისა კი არ იმეფდა, რომლითაც ყოველი ობიექტული სარგებლობდა. პუშკინსა და მეფეს შორის შუამავლად იყო ჟანდარმა გენერალი ბენკენდორფი, საიდუმლო პოლიციის უფროსი და იმპერატორის ყველაზე დახვეწილი პირი. პუშკინმა თავისი მეგობრების წრეში წაიკითხა „ბორის გოდუნოვი“. ბენკენდორფისაგან პუშკინმა მიიღო მითითება: სანამ მეფეს წინასწარ არ გადაუთვალავოებოდა, თქვენი არა გაქვთ უფლება რაიმე გზით „გავრცელოთ“ თქვენი ნაწარმოებნი. არ სურდა რა მეფის შეწუხება, პუშკინმა თავისი რამდენიმე პატარა ნაწარმოები საერთო ცენზურას წარუდგინა. ბენკენდორფმა აცნობა პუშკინს: „თქვენი ბრწყინვალე კალის“ ყველა ნაწარმოები წინასწარ გადასათვალავოებლად მე უნდა წარმომიდგინოთო. ოფიციალურად პუშკინი სასენიბით თავისუფალი იყო; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბენკენდორფის ნებადაურთველად მას იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ ერთი ქალაქიდან მეორეში გადაივიდეს. პუშკინმა ითხოვა პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა. ბენკენდორფმა ნება დართო, მაგრამ გაფრთხილებით დასძინა: „მის უდიდებულესობას ეჭვი არ ეპარება, რომ რუსის აზნაურის მიერ თავისი ხელმწიფისათვის მიცემული პატიოსანი სიტყვა—კეთილშობილურად და შესაფერისად დაიკრავს თავი—სასენიბით იქნება შესრულებული“. პეტერბურგიდან პუშკინი მოსკოვს გაემგზავრა. ბენკენდორფის ახალი მრისხანე შეკითხვა: „თქვენი საქციელი მიუთვლებს ვიხოვით, რათა მაკნობოთ, რა მიხეხებმა გაიძულათ გელაღაწნათ მიცემული სიტყვისათვისი“. და მუდამ ასე. თითქოს პირად შეურაცხყოფას გაუჩინებენ, როცა კითხულობ ამ ქედამდღორ შეკითხვებს და საყვედურებს, რომლებითაც რეგულარულად ჟანდარმა გენერალმა პიტრს მიმართავს. ერთი-მეორე მოკვება საიდუმლო კვლევებიც პუშკინის მიმართ, —ჯერ ცენზურის მიერ ნებადაურთველ ნაწყვეტებ მისი ლექსები „ანდრე შენი“, რომელსაც ვილცამ დაარქვა „14 დეკემბრისათვის“; შემდეგ პუშკინის ანტირელიგიური პოემა „გავრდილიაძე“. ახლა პუშკინს ნაკლებ სახარულს ჰგვირია მკითხველიც. პუშკინის ნიჭი განუწყვეტლავ იზრდებოდა, პუშკინი წლით-წლით ბით სულ წინადაწინ მიდიოდა და მკითხველი უკვე ვერ ეწეოდა მას. პუშკინის ახალ ნაწარმოებს სულ უფრო და უფრო გულცივად ხედებოდნენ. „პოლტვის“ არ ჰქონდა წარმატება. „ბორის გოდუნოვი“ გულგრილად შეხედნენ. პუშკინის მეგობრებსაც კი უფროალო სააღბოში ლექსად მიანდნათ, მაგალითად, მისი ლირიკის ისეთი მარგალიტი, როგორიცაა: „Я вас люблю, люблю еще, быть может... და პუშკინი ნაფლიანად წერდა: „Поэт, не дорожи любовью народной“...

ოციან წლებს დაშლვეს ახლობლებმა შენიწეს, რომ პუშკინის ხასითში ერთგვარი ცვლილება ხდებოდა. იგი უფრო ნაკლები ხალისით დაიარებდა—და მაღალ საზოგადოებაში, გრძობდა ოჯახური ცხოვრების საკურობებს. 1828 წელს მოსკოვის ერთერთ ბაზზე მან გაიციო თექვსმეტი

წლის ქალთშვილი ნატალა ნიკოლოზის ასული გონჩაროვა. ეს იყო ფუქსიატი მისკოველი ქალიშვილი. მთელი მისი განათლება იმაში მდგომარეობდა, რომ კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და საუკბოვად ცეკვავდა. მაგრამ იგი ვასაოცარი სილამაზით იყო. პუშკინს იგი თანდავიწყებით შეუყვარდა. 1829 წლის გაზაფხულზე პუშკინმა მას სახიზოვა ცოლად გაჰყოლია, მაგრამ დედისაგან უარი მიიღო. ამ დროს წარმოებდა ომი თურქეთთან. პუშკინი გაემგზავრა რუსეთის კავკასიის არმიისთვის, თან ახლდა მას ლაშქრობაში, მონაწილეობდა მტერთან შეტაკებებში, იყო არზრუმის აღების მოწვე. შემოდგომაზე დაბრუნდა პეტერბურგს. მოწყენილი იყო, ქვიფობდა, ცდილობდა ბანქოს თამაშით თავდავიწყებას. 1830 წლის გაზაფხულზე მიიღო ცნობა, რომ გონჩაროვები—დედა და ვალიშვილი, მათე კარგი აზრისანი არიან, მაშინვე გაეშურა მოსკოვს, კვლავ დაიწყო სიარული გონჩაროვებთან და 6 აპრილს მორიგეჯერ სახიზოვა ხელი და ახლა უკვე თანხმობა მიიღო. პუშკინი თავს არ იტყუებდა იმედებით გრძნობდა, რომ ქალს იგი ნაკლებად უყვარდა, თავს იმით, ინუგუშებდა, რომ გაივლის დრო და შეუყვარდებიო. მაგრამ ხშირად მძიმედ ჩაფიქრებულა ხოლმე მომავალზე.

ცოლის შერთვის გამო პუშკინის მამამ თავის ნიყეგოროდის მამულ ჰოლდინოდან გამოაოყო მის ორასი „სული“ ყმა. შემოდგომაზე პუშკინი გაემგზავრა ბოლდინოში, რათა დაპატრონებოდა მამულს და მოეგვარებინა თავისი საქმეები. გაემგზავრა ცოტახნით, მაგრამ ამ დროს გაჩნდა ხოლერა. ყველგან შემოიღეს კარანტინები და პუშკინი ოთხი თვის განმავლობაში მოსკოვს მოწყვეტილი აღმოჩნდა. იძულებით მარტობა, ისე როგორც წინათ მხსიალოვსკოეში ყოფნა, ძალიან საკეთილო აღმოჩნდა პუშკინის შემოქმედებისათვის. „ბოლდინოს შემოდგომის“ განმავლობაში პუშკინმა დაწერა „ონეგინის“ ორი უკანასკნელი თავი, ეგრეთწოდებული „პატარა ტრაგედიები“, ბელკინის მოთხრობები, „სახლი კოლომნაში“, დაახლოებით ოცდაათამდე ლირიკული ლექსი. ვანსაკციფობებელი პუშკინის შემოქმედების დაუმრეტლობა და ძალა, როდესაც იგი ისეთ პირობებში მოხვედებოდა, რომლებიც რამდენიმე მაინც ხელსაყრელი იყო მისი მუშაობისათვის, ადვილად და თავისუფლად, ორ-სამ დღეში ერთმანეთს მიჰყვებოდნენ ღრმად მოფიქრებული, ბრწყინვალე და მუშავებული ნაწარმოებები, რომლებიც მისი შემოქმედების უმაღლეს მწვერვალებს წარმოადგენდნენ.

დღემგებრში პუშკინი, როგორც იყო, დაბრუნდა მოსკოვს. 1831 წლის თებერვალში იგი დაქორწილდა. პუშკინი ფიქრობდა საცხოვრებლად მოსკოვს დაჩინილიყო—მაგრამ სილდერთან მუდმივი შეტაკებებისა და უთანხმოე, ბათი გამო მან გადაწყვიტა პეტერბურგში გადასვლა ხოლო საზაფხულოდ ცოლთან ერთად დაბინავდა პეტერბურგის მახლობლად, ცარსკოე სელიში. ამ დროს იქ მეფე ცხოვრობდა. როცა იმპერატორი პუშკინს შესხვდა, ძალიან მოწყალეებით მოეკიდა. დაავალა მას დაეწერა პეტრე პირველის ისტორია და დაეწინა ჯამაგირი—ხუთი ათასი მანეთი წელიწადში. მეფის პირდაპირი წინადადებათ პუშკინმა დაწერა ლექსი „რუსეთის ცილისწამებულთ“ და „ბოროდინოს წლისთავი“, რომელშიაც ხორტნას ასამადა რუსეთის გამარჯვებას აჯანყებულ პოლონეთზე. პუშკინის ლამაზი ცოლი სასახლეში ძალიან მოეწონათ.



დაპირილი პუშკინი საქ. სამხატვრო აკადემ. სტუდენტის ირ. ოქროპირიძის ნახუშვებარი

1831 წლის შემოდგომაზე პუშკინი გადასახლდა პეტერბურგში. მისი ცოლი სასახლეში სიამოვნებით მიიღეს, იგი ვახლა მალაი საზოგადოების ერთერთი ყველაზე უფრო მოდის ქალი. ასეთი ცხოვრება მოითხოვდა პუშკინისათვის სრულიად აუტანელ ხარჯებს. ცოლის შერთვის დროს იგი ფიქრობდა, რომ დახარჯავდა სამჯერ მეტს, ვიდრე წინათ, ნამდვილად კი ათჯერ მეტს გამოვიდა. სახსრების შოვნაზე ზრუნვა, ცოლთან ერთად გამუდმებული სიარული მაღალ საზოგადოებაში, ძალიან არახელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ პუშკინის შემოქმედებისათვის. იგი ნაღვლიანად წერდა ერთერთ თავის მემგობარს: „ცხოვრებაზე ზრუნვა არ მამძღვეს მოწყენის საშუალებას. მაგრამ არა მაქვს მარტობელა ცხოვრების თავისუფლება, რომელიც აუცილებელია წერისათვის. ვტრობებ მაღალ საზოგადოებაში, ჩემი ცოლი დიდ მოდამა; ყველაფერი ეს მოითხოვს ფულს, ფულს მე შრომით ვიძენ, შრომა კი განმარტობებს მოითხოვს. ნატალაი ნიკოლოზის ასულს ოდნავადც არ აწუხებდა ქმრის ფულის შოვნის სინდრელები და უზრუნველად ტკბებოდა მაღალ საზოგადოებაში თავისი წარმატებებით. ეს წარმატებანი კი თანდათან იზრდებოდა. თვით იმპერატორმა დაუყო არმიული ნატალა ნიკოლოზის ასულს, ცეკვავდა მასთან ბალებზე, ვახშობის დროს მის გვერდით ჯდებოდა. მეფის სასახლეში იმართებოდა ინტიმური სამეფო საღამოები, სადაც იწყვედნენ მხოლოდ სასახლის წოდების მქონე პირთ. ნიკოლოზი, რომელსაც სურდა ამ სა-

დამოებზე მისთვის საშუალება მიეცა ნატალია ნიკოლოზის ასლისათვის, 1834 ახალწლის წინადღით უბოძა პუშკინს კამერ-იუნკრობა. ამით ნიკოლოზს საშუალება მიეცა ხშირად შეხვედროდა ნაჟალია ნიკოლოზის ასულს და დიდად დაამაყრა პუშკინი, რომელიც მის სძულდა: კამერ-იუნკრობის ჩვეულებრივ აძღვედნენ მეტად ახალგაზრდა ადამიანებს და ოკდათხოფი მეტი წლის პუშკინს მათ შორის სისაცლით მშაბეჭდილობა უნდა მოეხდინა. ამ წოდების ბოძების შემდეგ პუშკინი საწინააღმდეგო ვაგარაზა. იგი აპირებდა სასახლეში წასვლას, საველეფურსი თქმის თვით მიეღისათვის. მაგრამ, ბოლოს, ბედს დემარჩილა. ხარჯებმა კიდევ უფრო იმატა, თავისუფალი დრო კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდა: თავისი ახალი წოდების მიხედვით პუშკინი ვალდებული იყო დასწრებოდა სასახლის ყველა დღესასწაულს და ცერემონიებს; ობერ-კამერგერს იგი ხშირად დაღუტუებდა იმისათვის, რომ არ დაიარებოდა წირივზე კარის ეკლისაში. ახლა უკვე თითქმის დეკრასოდეს ხედავდნენ პუშკინს მზიარულსა და უდარსველს. ბენკენდორფის მხრზე საცენზურო ჩავრა გრძელდებოდა. მიფისათვის გადასათვალთვრებლად ახალ ნაწარმოებთა გავაზნის უფლება საბოლოოდ გადაიქცა პუშკინის მოვალეობად, რომ ისინი საცენზუროდ წარედგინა ბენკენდორფისათვის. და პუშკინი მოწყალებასავით ითხოვდა: მომეცით უფლება, რათა სხვების მსგავსად დავებეძღო ჩემი ნაწარმოებნი საერთო ცენზორის ნებართვით.

1834 წლის ზაფხულს პუშკინმა გადაწყვიტა თავი დაეღწია იმ გალიისათვის, რომელშიც იგი მთავრობამ ჩაკეტა. მან თხოვნა გაუზავნა ბენკენდორფს სამახსოვრიდან განთავისუფლების შესახებ. ამ თხოვნამ სასტიკად აღაშფოთა მეფე. ეჟოკოსკი შეწუხდა და დაუწყო პუშკინს ცარსკოე სელოდან წერილების გაზავა ზიდზედ, ბრალს სდებდა მას სიბრძნეებსა და უტყვეობაში; სწერდა, რომ აწუწინებ მიეფისო. ეჟოკოსკის ზეგავლენით პუშკინმა უკან წაიღო თავისი თხოვნა. მეფემ ბენკენდორფს მისწერა: „მი მას ვაპატებო, მაგრამ დაუთხოვით, რათა ერთხელ კიდევ განუშორებოთ მისი საქციელის მიერი უპრობა და ის, თუ რითი შეძლება ყოველგვარს გაათავდეს“. რაში მდგომარეობდა პუშკინის დანაშაული, რისთვის ეუტყვებოდა იმპერატორი რაღაც სასჯელით? ყველაზე დაბალი მხელსაღი ხომ მამ ჰქონდა უფლება მიტოვებისა სამსახური, როცა იგი ამას მოასურებდა? ბენკენდორფის მიერ მიფისათვის მიწერილ წერილში ვკოულობთ პუშკინისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზს. „ისევ ისა, სჯობს სამსახურში იყოს, ვიდრე თავის ანაბარად იქნეს მიტოვებულიო“. — წერდა ბენკენდორფი. საკრო იყო ჰყოლიათ პუშკინი თვალწინ, აღმართული თათის ქვეშ, რომლიდანაც პუშკინის ოღნავი მოძრაობის დროს ცი გამონჩნდებოდა მოისხანი ბუკალები.

თავის არსებით პუშკინი სრულიად მიუღებელი იყო თვითმპყრობლობისათვის. თვითმპყრობელობა აფასებდა იმ კოლტურულ ძალებს, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. ლომონოსოვი, დეკაენინი, კარამზინი, დმიტრიევი, ეჟოკოსკი გულმოდგინედ შეუშაოდნენ თვითმპყრობლობის ირგვლივ სხივისანი შარავანდის შესაქმნელად და ამისთვის სარგებლობდნენ მთავრობის ყურადღებობა და პატივისცემით. ლებულობდნენ ჩინებს, ორდენებს, პენსიებს. მერე რა რომ პუშკინი „ცნობდა“ თვითმპყრობელობას? სპირო იყო არა ცნობა, არამედ მისი აღდგორთვანებით

სიყარული და ქება, უკრიტიკოდ, თვადუქრებლად და უგანგოუხედავად ქება. თავისი ოდებით „რუსეთის ცილისმამბეჭლო“ და „ბოროდინოს წლისთავის“ მკვლევანი თითქო დადავა ამ გზას, მაგრამ მალე გადაუფეხა და შეძედა ადარ დაპირებები. მაგრამ რად სკირდებოდა ნიკოლოზს „მარტო“ გენიალური პოეტი, „მარტო“ გენიალური ნაწარმოებების შემქმნელი? პუშკინი ვერ ეტეოდა თვითმპყრობელობის ჩარჩოებში არა როგორც მისი მეტერი, არა როგორც რეველუციონერი, არამედ როგორც უდიდესი კულტურული მოვლელი, რამეტიც ამ ჩარჩოებს ვასცოლდა. სასახლის მაღალი საზოგადოების ჩარჩოებშიც ვერ ეტეოდა პუშკინი არა როგორც მისი უარყოფელი, არა როგორც რეველუციონერი, არამედ როგორც დამოუკიდებელი, დრესებით აღსავსე ადამიანი, რომელსაც არ სურდა მონა გახდარყო. ნიკოლოზმა შესძლია მისი წამოჩოქება, მაგრამ წამოჩოქებული პუშკინიც ისე თვამლა აწუხალი იდა, რომ ნიკოლოზს მუდამ „უტეობდა“ მიანდა, ყველაფრის ჩადენის უნარმკონედ სოვლიდა იგი მას. და არც სცდებოდა. აი როგორ აფასებდა პუშკინი მეფის მოწყალებასა და უმაღლესი საზოგადოების მოწონებას. დაუუშვებელ შვიად დაწერილ ლექსში იგი წერდა:

Блажен в златом кругу вельмож
Пит, внимаемый царями.
Владыка смехом и слезами,
Приравня горькой правдой ложь,
Он вкусе притупленный цекотит
И к славе спесь бояр охотит.
Он украшает их пиры
И внемлет умные хвалы.
Меж тем, за твжкими дверями,
Теснясь у черного крыльца,
Народ, толкаемый слугами,
Подашь слушает певца.

აი ვიზე იწყებდა იგი ფიქრს დერკავინს თავის „ძეკვლი“ თავის დამსახურებად ის მიანდა, რომ უმღეროდა დედოფლის ეკატერინე მეორეს კეთლი საქმეებს, საუბრობდა ღმერთზე და მეფეებს სიმართლეს რომლით ელაპარაკებოდა. ასე დასაბუთა თავისი უკვადების უფლებები ეკატერინეს დროის უდიდესმა პოეტმა. ნიკოლოზის დროის უდიდესი პოეტი თავის უფლებებს უკვადებზე ასე ასაბუთებდა:

И долго буду тем любезен я народу,
Что чувства добрые я лирой пробуждал,
Что в мой жестокий век восславил я свободу
И милость к падшим призывал.

საცემებით ვასაგებია, რომ ასეთი მომღერალი ნიკოლოზის თვითმპყრობელობას არ შეეძლო თავისად მიენჩია.

პუშკინის მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იწუწინებოდა. პეტერბურგის ცხოვრება ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვდა. იგი უამრავ ვაღს იღებდა, სესხულობდა მეგობრებისგანაც და შორეული ნაცნობობისგანაც, მეველებს ალბოლი ჰქონდათ მისი შინა. 1835 წლის ზაფხულს პუშკინმა კვლავ სცადა თავი დაეღწია პეტერბურგისათვის და სთხოვა ბენკენდორფს: ნება



დამტოვნი, სამი თუ ოცი წლით დავსახლები სოფლად, წარაადიდებ შეთხზვივანი, სრული ვალტაყება და სასო- წარკეცილობა მომელისო. მიგმე კვლავ უარი უთხრა და მხოლოდ ნება დართო მიეცათ მისი ვის სესხად ოცდა- ათი ათასი მანეთი, რაც მისი ჯამაგირიდან უნდა დასე- პირათ. მიღებული ფული გადაუხდებელი ვალდის ვალტა- რებს დასეპირდა, ჯამაგირს პუშკინი უკვე აღარ ღებუ- რებდა და ახსენბის ერთადერთი წყარო იყო ლიტერ- ატურული შრომა. მაგრამ მუდმივ ზუნებისა და უსიამ- მოვნების, რომლებშიაც ახლა პუშკინი ცხოვრობდა, მას მუშაობა არ შეეძლო. 1833 წელს მან მოახერხა რამდენ- იმედი ხანს ეცხოვრა ბოლდინოში და იქ დაწერა უკანასკ- ნელი პეროვსის თავისი ორი უდიდესი ნაწარმოები— „ბრინჯაოს მხედარი“ და „პიკის ქალი“. მაგრამ მალე მან ვერც სთვლილ შეძლო წერა. აღმაშენებისათვის საჭიროა გულის სიმშვიდე,—წერდა იგი 1835 წელს სოფ- ლიდან თავის ცოლს,—მე ვი სრულიადაც არა ვარ დამ- შვიდებული: ხელმწიფე მაიძულებს ვიცხოვრო პეტერ- ბურგში, ხოლო არ მძალეხს იმის საშუალებას, რომ ჩემი შრომებით ვიცხოვრო. იმ მცირედსაც კი, რომ დაწერ- ა პუშკინს შეეძლო, შეუბრალდება ჰვეცავდა ცენ- ზურა. მაგალითად, არ დაიბეჭდა „ბრინჯაოს მხედარი“. „რა ეშმაკმა დამბადა რუსეთში სულისა და ტანისათვის მქონემა“—სასოწარკვერილებით წერდა პუშკინი.

პუშკინის ლიტერატურული მარტობა იზრდებოდა. კრიტიკა ავდებით ეტეკოდა მას, თითქმის როგორც უნიუო კრძალანელი. მაგალითად, ყურნის ფანჯისკობით წერდა: „იმით, ვინც უთქობდა პუშკინის თანამოებთან შექმნილ პატარა პუშტებში დაინახა მალაღობი პოეტური ფანტას- მაგარიის ცეცხლი, ბოლოს იძულებულია თავი მოატყუე- სულად აღიაროს“. ახალგაზრდა ბელისქიმაკი ვ ნა- ცხადა, „პუშკინი დასრულდა“. მათალითა თავისი სო- ციეტის ამ ხანაში პუშკინი ძალიან ცოტას წერდა ხოლო მისი ნაწარმოებნი კიდევ უფრო ნაკლებად იბეჭ- დებოდა.

პუშკინის ოჯახური ცხოვრებაც ვერ იყო სახარბიელო იმპერატორი ვალდებებით ეარწყებოდა ა ნატალია ნიკო- ლოვის ასულს. თავებდურად და შეუპოვად ეარწყებ- ბოდა მას ფრანგი ავანტურისტი ბარონ დანტესი, კი- ვალერგარდის პოლკის ოფიცერი, პოლანდიის ელჩის გეკერის შვილები. 1836 წელს 4 ნოემბერს პუშ- კინმა და მისმა ნანკობებმა მიიღეს ანონიმური პასევი- ლი. ამ პასევილში იუწყებოდნენ, რომ პუშკინი არჩეუ- ლია „რქოსანთა უბრწყინვალესი ორდენის“ კოადიუტორ- რად, ე. ი. თავებდომარის მოადგილედ. ამ ორდენის თამუჯდომარეთ კი ასახელებდნენ ნაიკშენს, რომლის ცოლიც იდნობის იყო იმპერატორ ალექსანდრე პირველის საყვარელი. ამით აწვარად ამბობდნენ, თითქმის იმპერა- ტორ ნიკოლოზს ინტემური კავშირი ჰქონდა პუშკინის ცოლთან. პუშკინმა პასევილის გავზავნა რატომღაც ექვი მიატანა გეკერსა და დანტესზე და დანტეის დღეულში გაწვივა. გეკერმა დიდის ვითავალობით შეძლო საქმის მოგვარება. იგი ყველას არწმუნებდა, რომ დანტესს უყ- ვარდა არა ნატალია ნიკოლოვის ასული, არამედ მისი და ევატერინე გონჩაროვა, რომელიც პუშკინებთან ცხოვ- რობდა. დანტესმა შეართო ევატერინე, რომელსაც იგი ძლიერ უყვარდა. მაგრამ ცოლის შეერთვის მომდევნო იგი კიდევ დაინებით ეარწყებოდა პუშკინის ცოლს, მაღალი

სასოჯადობა, რომელსაც არ უყვარდა პუშკინი, მისი და- მოუკიდებლობისა და მწარე ენისათვის, ბოროტი გული- ადევნებდა თვალს დრამის მოახლოებებს. 1837 წელს მან იანვარს პუშკინს გეკერს გაუგზავნა საშინელი შეურაც- ყიფითი აღსაქვე წერილი. ამ წერილის შემდეგ რაიმე ცე- რიგებმა შეუტოვებელი გახდა. დანტესმა პუშკინი დღეული გაიწვიდა. დღეული გაიმართა 27 იანვარს ჩარნია რეკსაზე დანტესის ტყევა პუშკინს მუტელში მოხვდა და ამდღის თავე გაუტყდა. ორი დღის საშინელი ტანჯვის შემდეგ პუშკინი გარდაიცვალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ერთერთმა მეგობარმა უთხრა პუშკინს— „შენი მოჩინების იმედი გვაქვს“. პუშკინმა ხელი ჩაიქნა და უპასუხა: „არა, მე აქ არ ვმცხოვრებ. მე მუცხლები, ჩნს ასე ჯ ხოსო“. პუშკინის ყველა მეგობარს ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ იგი ეძებდა სიკვდილს, როგორც შექმნილი მდგ- ბარგობიდან ერთადერთ გამოსავალს.

მიოკის სანაბროზე იმ სახლის წინ, სადაც პუშკინი გარდაიცვალა, რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა. როგორც მოხუცებულნი ტულადა, ისე იზრდებოდა ხალ- ხის გუგუფე, რომელსაც სურდათ მათევი ეცათ პუშკინის ნეშტისათვის. პუშკინის ცხედართან ოცდაათიდან ორ- მოცდადით ათასამდე კაცმა ვაიარა. ხოლო პეტერბურგის მთელი მოსახლეობა იმ დროს ხუთას ათასზე ნაკლები იყო. ერთი რამ დამახასიათებელია: აქ არ ყოფილან მა- ლალი წოდებისანი; ისინი თითქმის ყველანი დანტესს მხარზე იყვნენ, ის პრეტენსივებ, რომელსაც პუშკინს- საღმი იჩენდნენ, წმინდა „საღებებრი“. იყო პუშკინის კუ- მოსთან ტრიალებდნენ სტუდენტები, თავისუფალი პრ- ფესიის დამაინებნი, ხელოსნები, წვრილი მოხუცეები ვაკ- რები, რადიკალური დემოკრატის ჯერ კიდევ ფენებ- და დღეყოფელი კლასი, რომელიც ეს-ეს იყო აქჩნებოდა და რომელსაც შეუდგ „რაზნოჩინების“ სახელწოდება მი- ილი. უკანასკნელ წლებში, როგორც ჩვენ ვნახეთ, პუშ- კინი საშინელი მარტობის რაკლში ცხოვრობდა. მას აზრადაც არ მოსდებოდა, თუ რამდენი ათასი, რამდენი ათეული ათასი გულწრფელი მეგობარი ჰყავდა იმ რაკლის ფარკლებს გადაღმა რომელშიც იგი ტრიალებდა და რა- მელშიც დაღუვდა. საზოგადოებაში წლებგარებით ლაბარა- კობდნენ უცხოებლებს, რომლებიც რუსეთის დიდი პოეტი მოჭლეს, საერთოდ ლაბარაკობდნენ უცხო-გერმანელებზე, რომლებიც მათგან-გამგებობის სათავეში იდგნენ. რუსე- თის ერთერთმა მაღალი თანამდებობის პირმა მიიღო ანონ- იმიური წერილი, სადაც გარკვეულად იყო ლაბარაკი „პუშკინის გაცნახა, მოეციკებულად მიკვლახე“. ახალ ბირონებწინახებ, ბოროტმოქმედებზე, რომლებიც ყველ- გან მატულებოდა, საყვირელათ მიუქნა-მოთქმასა და უკან- ყოფილებაზე. გავრცელდა აღმოთობით დასავსე ლექსი ლერმონტოვისა, რომელიც მაშინ თითქმის უცნობი იყო, „პოეტის გადაცვალებაზე“, ციხელოვანი ვალტჟილი პროკლამაცია, რომელიც სწრაფად გავრცელდა უმათევი ცალად. საქმე სახუარო ხასიათს რომი ლებულობდა. და ამაზე ყოფილახ საშინის იყო, რომ ნოვოღოდინლად შეწყდა მრავალწლოვანი საყვირელათი მონხრონი დღეული. საზოგ- დოებრივი აღმოთობის სწრაფმა აფერებამ ანავიფიფარა და შეაშინა ნიკოლოზი. თავდაპირველად პუშკინის სკვე- რიბის იგი სასევიტა გულგოვლად შეგება და სასევიტა ამართლებდა დანტესს სასევიტის. მაგრამ დაბლიან ზე- ვალენამ აგრძნობინა იმპერატორს, რომ საქმე ჰქონდა

არა უბრალო „მითხველიან“, თავის სასახლის არა უბრალო კამერ-იუნკერთან, არამედ ადამიანთან, რომელსაც დიდად აფასებდნენ ქვეყნის უღარიბესი წრეები. ნიკოლოზს ძალაუნებურად მოუხდა გარდაექმნა თავისი დამოკიდებულება მომხდარი ამბისადმი, თავი ისე მოეჩვენებინა, პუშკინის გარდაცვალებას თითქოს თვითონ ისიც აფასებდეს—როგორც დიდ ნაციონალურ დანაკისს. დანტესი ჯარისკაცად ჩამოაქეითეს და, როგორც უცხოეთის ქვეშევრდომი, რუსეთიდან გააძევეს. ვეკერნი, ნიკოლოზის მოთხოვნით, ჰოლანდიის მთავრობამ ელჩის პოსტიდან გაიწვია. მეორე მხრივ ნიკოლოზი შეეცადა შეეკრა ყველა გზა აზღვეებული საზოგადოებრივი აღშფოთების გამოვლინებისათვის. გაზეთებმა სასტიკი ბრძანება მიიღეს „პუშკინის გარდაცვალების შესახებ ცნობის გამოქვეყნებისას დაიკავით სათანადო ზომიერება და წესიერების ტონი“. პუშკინის ბინის მეზობლად მდებარე სახლებში ჩააყენეს სამედრო პიკეტები, კარებთან და თვით ბინაში ჯაშუშები დაძრწოდნენ. ვასვენების წინაღობით პუშკინის ბინა უნდარმებით აივსო. მათ გადაიტანეს კუბო არა ისაკის ტაძარში, სადაც მეორე დღეს პანაშვიდი იყო დანიშნული, არამედ კონუშენაიას ეკლესიაში. ეკლესიასთან მისასვლელები პოლიციელებმა შეკრეს და პანაშვიდზე უშვებდნენ მხოლოდ სპეციალური ბილეთებით მოწვეულთ. პანაშვიდის შემდეგ ცხედარი ეკლესიის სარდაფში ჩაიტა-

ნეს. შუალამისას ეკლესიას მიადგა დროგი და ორი დამხრული ეტლი. ერთ ეტლში იხსდნენ უნდარმები, მეორეში—პუშკინის მეგობარი ალექსანდრე ტურგენევი; მას დავალებული ჰქონდა გაჰყოლოდა ცხედარს პსკოვის გუმბერნიაში, დასაფლავების ადგილამდის, სეიატაგორის მონასტერში. პსკოვის გუმბერნატორს წინასწარი გაგეზავნა უშაღლესი ბრძანება; ცხედრის მისვენებისას „აქრძალეთ გრძნობის ყოველგვარი განსაკუთრებული გამოხატვა, ყოველგვარი შეხვედრა, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ცერე მონიაო“.

თავისებური დამკრძალავი პროცესია მიჰქროდა თოვლიან ველზე ღღისით და ღამით. ბოროტმოქმედნი თითქოს იჩქაროდნენ მალულად მიეყვანათ ბოლომდე თავიანთი ბნელი საქმე. ერთერთ საფოსტო სადგურზე პროფესორის ცოლმა, რომელიც პეტერბურგს მიდიოდა, დინახა მოფუსფუსე უნდარმები, რომლებიც აჩქარებდნენ მეეტლევებს, მალე შეაბი ცხენები ეტლშიო. მან დანიხა ჩალაში მდგარი ქილოზში გახვეული კუბო, მან ჰკითხა ერთერთ. იქ მყოფს, თუ რა არის ესო. „ღმერთმა იცის რა არის, ამბობენ, ვილაც პუშკინი მოუქლავთ.—მაქროლებენ მას საფოსტო ეტლებით ქილოზსა და ჩალაში გახვეულს, ღმერთო ნუ მიწყენ,—როგორც ძალღს“.

ასე ასაფლავებდა ნიკოლოზის ოფიციალური რუსეთი უდიდეს რუს პოეტს.



პუშკინის დევილი

სურათი მხატვ. ა. ნაუშოვისა



„მოხარვი და სალიერო“

დრამატული პიესა „მოცარტი და სალიერო“ ეკუთვნის იმ შესანიშნავ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც ამჟამინდელ პუშკინის პოეტურ გვირგვინს. ამ პიესაში დღეს-მდღეა ძალიან დიდი პრობლემა: ეს არის ხელოვნების პრობლემა. უკანასკნელი ყოველთვის აინტერესებდა პუშკინი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პუშკინი სწავლობდა ლიტერაში და არა მარტო და გამოემუშავებოდა თავისი პოეტური სტილი, პუშკინი ბევრს ფიქრობდა ხელოვნების მოწოდებაზე; ხოლო პუშკინის უკანასკნელი თხზულება, რომელიც ხელოვნების პრობლემას ეხება („ძეგლი“), დაიწერა 1836 წლის მიწურულში, ე. ი. პუშკინის გარდაცვალების რამდენიმე თვით წინ. ამ ორი მნიშვნელოვანი ძარბაღის შუაგულში მნიშვნელოვანი ხარატივები გამოიყოფა თავისი შეხედულება ხელოვნების შესახებ—ხან მეგობრებთან ცნობებისთვის მიწერილი ბარათში, ხან თავისთვის გაკეთებულ კრძოლ შენიშვნებში, ხან კი გამოქვეყნებულ ნახტურულ ქაზნებებში. „მოცარტი და სალიერო“ ეკუთვნის სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას, ის წარმოადგენს პუშკინის პოეტურ credo-ს აღსარებას და ვეაძლევს საშუალებას გავიგეგოთ, თუ როგორი შეხედულება ჰქონდა პუშკინის ხელოვნების შესახებ.

ძალიან საინტერესოა ჩვენთვის ეს შეხედულება. საინტერესოა მარტო, იმიტომ კი არა, რომ ის იყო პუშკინის შეხედულება, არამედ იმიტომაც, რომ ის ხელს გვიწყობს ჩვენი კულტურის წარმოდგენა გამოემუშავოთ ხელოვნების ზოგადი საკითხების შესახებ. მართალია, პუშკინი იყო პოეტი და არა ხელოვნების თეორეტიკოსი. მაგრამ ერთი დიდი ზურბატისა და პუშკინის მრავალი სხვა იწერათლიან შენიშვნებში, ის იყო, რომ ფართო და საფუძვლიანი განათლება აძლევდა პუშკინს საშუალებას კარგად გარკვეულიყო, როგორც პოეზიის, ისე საზოგადო ხელოვნების თეორიულ საკითხებში. მშვენიერად ამტკიცებს ამ კუშიარითებას პიესა „მოცარტი და სალიერო“.

ეს დრამატული პიესა დაიწერა რამდენიმე დღის განმავლობაში 1830 წელს. მაგრამ მის ეტყობა დიდი მისტიკის მარწყვები ხელი: „წერე მის, რომ ისტყვივით ცოტა იყოს. აზრებში კი ბევრი“. ათი იყო დევიზი, რომლის მიხედვით პუშკინს მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არ უშალატნია და რომელსაც ის ერთგულად მისდევს ამ პიესაშიც. „მოცარტი და სალიერო“ წარმოადგენს ლაქონიფორბის ნიშნებს; ძალიან სასტიკი კრიტიკა კი ვერ მოახერხებდა ერთი წინადადება კი მოინახა ამ პიესაში ისეთი, რომლის ამოგდება შესაძლებელი იქნებოდა პიესის ღირსების დაუზიანებლად. მოკლე ამბობს „მოცარტი და სალიერო“, მაგრამ ამ მოკლე პიესაში ოდენი აზრებია მოცემული, რომ მთა ამისოწურავდა საჭირო იქნებოდა რამდენიმე სქელბინი გამოკვლევა.

ჩვენ არათვის ვაზნობთ ამ შემთხვევაში პუშკინის პიესის სხვა ღირსებებს; მის მხატვრულ სიმართლეს, მისი ფსიქოლოგიური ანალიზის სისუსტეს, მისი მოქმედების უკანასკნელი დრამატუზმები, მის სტრუქტურის ისტატუზმებს საზოგადოდ. ჩვენი მიზანია გავიგეგოთ იმ აზრებში ხელოვნების შესახებ, რომლებიც მხატვრული ფორმით გამოთქმული აქვს პუშკინს თავის პიესაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ეპიზოდურ პერსონაჟს (მათხოვარი ნემუსიკი), ამ პიესაში მხოლოდ ორი მოქმედი პირია: მოცარტი და სალიერო. ორივე ცნობილი არიან გვირგვინულ მუსიკის ისტორიაში, როგორც გამოჩინელი კომპოზიტორები. ვოლფგანგ მოცარტი იყო ტონის გერმანელი. ის დაიბადა ავსტრიის ერთ პროვინციულ კუთხეში (ზალცბურგში) 1756 წელს. ხოლო გარდაცვადა ავსტრიის სტატბო ქალაქ ვენაში 1791 წელს. მისი მთავარი მუსიკალური ქმნილებებია ოპერები „დონგუანი“ და „ფიგაროს ქორწილი“. არანაკლებ ცნობილი იყო თავის დროში იტალიელი კომპოზიტორი ანტონიო სალიერო (1750-1825 წ.) მრავალი ვენის ავტორი, რომელიც ასრულებდას რამდენიმე ხნის განმავლობაში ორივე იტალიური ოპერის დირექტორის თანამდებობას.

გარდა ამ ორი მუსიკოსისა პუშკინის პიესაში ნახსენები არიან კომპოზიტორი გლიუკო, ოპერა „ფიგენიას“ შემქმნელი, კომპოზიტორი ჰაიდენი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ვერბოს ინსტრუმენტალურ მუსიკის განვითარებაში, იტალიურ რენესანსის სახელგანთქმული მხატვარი რადეაიკო, იმავე რენესანსის დიდი ზურათმობდიარი, მოქმედაც და მხატვარი მქელ ანჯელო, „ლეთაბერივი კომედისის“ ავტორი დანტე ალავიერი და სფრანგეთის დრამატურგი ბომარშე, „სოვილიელი დალაქის“ დამწერი. ყველავერი ეს, ერთად დღეული, ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ პიესის მკითხველი გაძნობს თავს მუსიკის სპეციკალურ არეში კი არა, არამედ საზოგადოდ ხელოვნების უფრო ფართო სფეროში.

თეთრთ პუშკინმა თავის პიესას შესახებ შემდეგი შენიშვნა გააკეთა: „დონ-გუანი“ პირველი წარმოდგენის დროს, როდესაც ვაოცებულ მაყურებლებით სავსე თეატრი ზუმედ ტკეზობდა მოცარტის პარაზონით, გაისმა სტენია. ყელანი მობზრდინ, გაკვირვებულნი და აღშოფოთებულნი. სახელგანთქმული სალიერი კი გვიდა დარბაზიდან ზურისაგან ვაოცებულნი. სალიერი გარდაიცვალა ამ რვა წელს წინათ. ზოგავრითი გეპმანული ჟურნალი ამბობდა, რომ სკედილს დროს სალიერმა აღიარა თავისი საშინელი ზოროტმოქმედება—თითქო მას მოეწამლოს მოცარტით. ისეთს შურიან კაცს, რომელიც სტენიით შეხვდა დონ-გუანს, შეცდომა ამ ოპერის შემქმნილიც მოეწამლა“.

აი, ეს ამბავი სალიერის მიერ მოცარტის მოკლის შესახებ გამოიყენა პუშკინმა სუიეტად თავისი პიესისათვის. რამდენად შეეფერებოდა ეს ამბავი კუმპონიტების, პუშკინს არ შეუმოწმებია, და ამ გავრმოგამ გამოიქვია ცნობილი მწერლის პ. ა. კატენინის საყვედური. მართლაც, პუშკინს შეეძლო ეს ამბავი შეემოწმებია და დაენახა რომ ის არ იყო სწორი, ვინაიდან ჯერ კიდევ 1825 წელს უტხოვთის უწრნალბაში დაიბედა წერილები, რომ ვანიც ამტკიცებდა, რომ ცნობა სალიერის მიერ ჩადენილი მორტემო-

ქმედების შესახებ იყო კუშპარიტების მოკლებული, ლეგანდები. როგორც ჩანს, პუშკინი დაინტერესდა ამ ლეგანდებში არა თავისი ისტორიული სიმართლით, არამედ იმ პოეტურ სუბსტანციით, რომელსაც იგი აწვდიდა მწერალს. ამიტომ თუმცა დახასიათება, რომელიც აძლევს პუშკინი მოცარტს და სალიერს, არ შეეფერება არც ისტორიული მოცარტის და არც ისტორიული სალიერის სახეს, მიუხედავად ამისა პუშკინის პიესა მაინც რჩება პოეტური ისტორიების მშვენიერ ნიმუშად, რომელიც რამონდინი გიერდის მანძილზე ახერხებს ხელოვნების ძალიან რთული საკითხები გააშუქოს.

პიესაში დაბარიტარებულ არიან ერთმანეთთან სალიერი და მოცარტი. ეს დაბარიტარება მოკლებული აქვს პუშკინს რომანტიკული სკოლის მიერ განვითარებულ იმ ესთეტიკურ კონცეპციის საფუძველზე, რომელსაც პუშკინი იცნობდა ჯერ კიდევ ლექსებში ყოფნის დროს ერთი შეხედვით პროფესორის (გაილის) ლექციებში და რომელიც პუშკინმა კიდევ უფრო კარგად შეითვისა ჟურნალ „მოსკოვის მოამბის“ ვარშემო შეკრებულ ახალგაზრდა მწერალთა წრეში (ცენტიკინოვი, ოდოევსკი გულუნოვი და სხვა.), სადაც პოეტი ტრიალებდა სოფელ მიხაილოვსკოეს ტყეებიდან განთავისუფლების შემდეგ.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის რომანტიკულმა სკოლამ პოეზიაში შექმნა ხელოვნების შესახებ ახალი შეხედულება, რომელიც მან დუბირდაპირა ხელოვნების ძველ პრედიკაციას კონცეპტისა. უკანასკნელი გაბატონებული იყო ევროპაში მე-17—18 საუკუნეებში და თეორიულად იქნა დასაბუთებული ბუალის თხზულებაში „L'art poétique“. ძირითადი აზრი, რომელიც საფუძველად ედვა ამ სახეულანთქმულ თხზულებას, ის იყო, რომ ანტიკური ქვეყნის ქმნილებები წარმოადგენენ ხელოვნების დარგში აბსოლუტურ იდეალს, რომელსაც უნდა გადაედგინა ახალი ევროპის ყოველი ოსტატი. ამ მიზანძვის დასადავლებლად, ანტიკურ ხელოვნების და დავიკონიუმის შესწავლის საფუძველზე, გამოიმუშავებული იქნა დაწერილი ლეტი განვითარებული სისტემა ხელოვნების კანონებისა და ყოველი ხელოვანისაგან მოითხოვდნენ, რომ მას ზუსტად დაეცვა ეს კანონები თავის შემოქმედებაში. საკანონის იყო, მაგალითად, რომ პოეზიის რომელიმე ქმნილებას (ტრაგედია იქნებოდა იგი, თუ პოემა ან ოდი) დაერღობა პრედიკაციასკური პოეტის ერთი კანონი ან „წესი“, რათა ის დაეწუნებია კრიტიკის. თუ ვაგივალისწინეთ კარგად, რომ პრედიკაციასკური პოეტის „წესებს“ საჩუქლად ედვათ ანტიკურ მწერლების თხზულებები, რომლებიც თვითონ დამყარებულნი იყვნენ ანტიკურ ქვეყნების ცხოვრებაზე, მაშინ ადვილად იქნება გასაგებები, რომ პრედიკაციასკური პოეტის აზრობდა მწერალის მის ვარშემო არსებულ ცხოვრებისგან, ვინაიდან უკანასკნელი არც ეკონომიური, არც პოლიტიკური, არც რელიგიური და არც მორალური ცვალსაზრისით არ ემსავსებოდა ანტიკურ ქვეყნების ცხოვრებას. პრედიკაციასკური პოეტის მოითხოვდა ახალი ევროპის მწერლისაგან რომ მას ეწერა ისე, როგორც წერდნენ ძველი ბერძენი და ძველი რომაელი და არა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა ამ მწერლის ვარშემო არსებულ სინამდვილეს. მართალია, როდესაც ახალი ევროპა მხოლოდ გამოიღობდა საშუალო საუკუნეების მხარბაროსობის წრიდან, ხელოვნება უკარ

იყო ჯერ კიდევ საკმაოდ მომწიფებული და მისთვის ძალიან საერთო იყო სკოლა, აი ამ დროს ხელოვნების პრედიკაციასკური თეორიაც ძალიან სასარგებლო იყო, რადგან ის ასწავლავდა ხელოვანს ისტორიის მთავარ ხერხებს. მაგრამ როდესაც ახალი ევროპა კულტურულად დაწინაურდა, მისი ხელოვნება კი იმდენად მომწიფდა, რომ მას სრულიად დამოუკიდებლად შეეძლო უკვე მის ვარშემო არსებული სინამდვილის მხატვრული ასახვა, მაშინ ამ ხელოვნების საფუძველად უნდა ქცეულიყო თვითონ ეს სინამდვილე და არა სკოლის სახელმძღვანელო. პოეზიის ხელოვნებაში, მაგალითად, ძველი დევნიზი „წერე ისე, როგორც წერდნენ ბერძენი და როგორც ეს პოეტისა წესებში არის დადგინებული“ უნდა შეცვლილიყო ახალი დევნიზით „წერე ისე, როგორც ეს შენს ცხოვრებას შეეფერება“, როგორც შენი მხატვრული შთაგონება გირჩევს, და არა ისე, როგორც ოდესღაც წერდა ვიღაც ან როგორც კანონები პოეტისა სახელმძღვანელოების შემდგენლები“.

სწორედ ეს უკანასკნელი დევნიზი წამოაყენა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულში რომანტიზმმა, რომელმაც მოითხოვა ხელოვანის განთავისუფლება ტრადიციის მძიმე ულღისაგან. ხელოვნების იმ ახალი კონცეპციით, რომელსაც ქმნიდა რომანტიკული მიზაროვნება პოეზიაში, მუსიკაში, პლასტიკაში. ხელოვნების უმაღლესი კანონად გამოცხადებულ იქნა თვითონ ხელოვანი. რომანტიკოსების აზრით, ხელოვანი იმიტრე კი არ არის ხელოვანი, რომლის ასრულებულ სხეების მიერ შექმნილ ხელოვნების კანონებს, არამედ ხელოვანი ან მხოლოდ იმიტრე, რომ თავისი შთაგონებით თვითონ ქმნის ახალ ხელოვნებას და ამით ამაყარებს ახალ კანონებს ხელოვნებისათვის. მაშასადამე, ხელოვანი ყოფილა, რომანტიკოსების აზრით, ხელოვნების კანონმდებელი, ხელოვნების მხარბანებელი, და არა მისი მონა. ამიტომაც ის კი არ არის, რომანტიკოსების აზრით, უკეთესი ხელოვანი, ვინც სხვების მიერ შექმნილ ნიმუშებს უფრო ზუსტად იმიტირებს, უფრო მოუფაფრდა ბაძავს, უფრო მეტად ეთანხმება, არამედ უკეთესი ხელოვანი ის, ვინც თავისთავს ეთანხმება უკეთესად, ვინც თავის შთაგონებას არ ღალატობს, ვინც გულწრფელად შემოქმედებაში და მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც მას მისი საკუთარი შთაგონება აწვდის. რატომ იმიტრე, რომ ხელოვნების უმაღლესი კანონი ხელოვანის მიერ მოკლებული და არა მის ვარშემო, ძირს პედანტების მიერ შევავრებული სახელმძღვანელოები, ძირს ბრძენი თეორიები, ძირს დესპოტური სისტემები! გაუმარჯოს შემოქმედების თავისუფლებას, გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვანს — ასეთი იყო რომანტიზმის ლოზუნგი.

ხელოვნების ეს რომანტიკული კონცეპტია, რომელიც პუშკინს გამოთქმული აქვს „მრავალ თავის ლექსში“ (წიგნების ვაჭრის საუბარი პოეტთან, „პოეტი“, „პოეტის“, „პინდოლონიკიდან“ და სხვა.), საფუძველად უდგენს პიესას „მოცარტი და სალიერი“. ხელოვნების ისტორიის დიდ ცოდნით ახასიათებს პუშკინი, როგორც სალიერის, ისე მოცარტს, თუმცა შეცდომა იქნებოდა ცხადია, ეს დახასიათებები ისტორიულ პორტრეტებად ჩაგვეფიქვას: თავისი პიესით პუშკინი ქმნიდა არა პორტრეტებს, არამედ ტიპებს.

მოცარტის სახით პუშკინმა წარმოადგინა რომანტიკული სკოლის ხელოვნების ტიპი, ვინაიდან თავის შთაგონებებში მოცარტი ემხვევა ხელოვანის იმ იდეალს,

რომილიც ჰქონდათ რომანიტიკოსებს. რაც შეეხება სალიერიის, მისი სახით პუშკინის პიესაში მოცემული ძველი სკოლის ხელოვანი: სალიერი გამოპყრილია პიესაში იმ წარმოდგენის თარგზე, რომელიც პუშკინის დროს უფვე დამაყრველი იყო ასევე რომანიტიკოსები პიესის შესახებ, ვინაიდან სალიერიის ნიშნები არ სცემითად ემთხვევიან ასევე რომანიტიკოსური პიესის ნიშნებს. შეიძლება ითქვას, რომ პუშკინის მიერ წარმოდგენილი სალიერი ის არის მუსიკის სფეროში, რაც პიესის სფეროში იყო, მაგალითად, ასევე რომანიტიკოსური ოდის სწავლა.

მართალია ასევე რომანიტიკოსური ოდის მწერლის მსგავსად სალიერიის შექმნა გაეყვანოს რამე მხოლოდ იმ პირობით, თუ მას აქვს მისაბამი ნიმუში. თავის საკუთარ ფეხებზე დგომა და დამოუკიდებელი სიარული არც ასევე რომანიტიკოსური პიესის შექმნა და არც სალიერიის ჰქონდა ამის უნარი. არც ერთი არ იყო თავისუფალი ლი ხელოვანი, ე. ი. ისეთი ხელოვანი, რომელსაც არ ყავს სხვა უფალი, ვარა და თავისი თავისა, ვარა და საკუთარი შეფარებისა. თუ ასევე რომანიტიკოსური ოდის მწერალთა უფალი, მათი მისაბამი ნიმუში იყენებენ ან პინდარი, ან პორატუსი, სალიერიის მისაბამი ნიმუშებია გულუკი და ჰაინრიხი, რომლებსაც ის უზნურად მის ღვეს. თვითონ სალიერიც არ უარყოფს ამას, როდესაც ამბობს:

„Когда великий Глюк
Явился и открыл нам новы тайны,
Не бросил ли я все; что прежде знал,
Что так любил, чему так жарко верил,
И не пошел ли бодро вслед за ним?“

სალიერი უნდა ყოველთვის ვინმეს მისდევდეს, მას არ შეუძლია ისეთი რამ შექმნას მუსიკაში, რის ნიმუშიც არ იყო წარსულში ვისიმე მიერ მოცემული. იმ კონცეპციის ლოგიკით, რომელსაც ემყარება სალიერიის ისეთი ქცევა, გამოდის, რომ მუსიკის უფვე დამატებები თავისი განვითარება, და იმაზე უკეთესი, რაც წარსულში შეუქმნიათ მუსიკოსებს, მშობაღლი არაფერი შეიძლება შეიქმნეს. ამიტომ სალიერი სრულიად ეთანხმება თავის თავს, როდესაც ეჭვობს, რომ მუსიკოსის მთელი მთავალეობა იმაზე მდგომარეობს, რომ მან ბეჯითად წაისწავლოს მუსიკის წარსული მიღწევები, ე. ი. განაღობოს ეს მიღწევები, მოახლოს მათთვის მათემატიკურად მარტივი ფორმულა, შემდეგ ამ ფორმულის საშუალებით მოიკვანოს მუსიკის წარსული მიღწევები ადვილად დასამახოვრებელ სისტემაში, რათა ერთდროულ მოუფიქსელად მისდინოს ამ სისტემას, ყოველი გვესა და კრიტიკის გარეშე. ვასაგებია აქედან, რომ მუსიკოსის მთავარ ღირსებას სალიერი ხედვას ანალიზის უნარში, ე. ი. ვანსაქის ნიჭში, თავის თავსაც სალიერი ათავსებს სწორედ იმისათვის, რომ მას ანალიზის დიდი უნარი გამოუმჩნეოს:

„...Звуки умертвив,
Музыку я разъял, как труп.
Поверил я алгеброй гармонию“.

ამბობს სალიერი. იმაზე უფრო მოკლედ და უფრო ზუსტად არ შეიძლება დახასიათეს მე-17-18 საუკუნის ხელოვნება, რომელიც რაციონალისტური ფილოსოფიის განვითარების წარმოადგენდა, ამის შესაფერისად ვადაქარბებულ წინშეწოდებას აძლევდა ანალიზს, კოდნას, მათემა-

ტიკას და ხელოვნების უმაღლეს მიღწევად მიანდაც ის ნაწარმოები, რომლის პროპორცია და ჰარმონია შეიძლება დაწავლას და გარკვეულს მათემატიკურ ფორმულაში ყოველი იყო გამოხატული. პროპორცია, ნაწილები ჰარმონიული კავშირი ურთიერთ ურთის, მუსიკის გვემინანა მე-17-18 საუკუნის ხელოვნებაში ვადაწყვეტ როლს თამაშობდა— ძალიან ხშირად მიანარის ხარჯზე. ფერს იქ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მიხატულობას, ხოლო ფორმის მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე მასალას ან სავანას.

ვინც სალიერიის მსგავსად ეჭვობს, რომ ხელოვნებას უფვე დასრულებული აქვს წარსული თავისი განვითარება და მომავალი ხელოვანის ამოცანა მხოლოდ ძველი მიღწევების ანალიზი და რეპროდუქცია, მისთვის ხელოვნებიდან გამორიცხულია შემოქმედება, სინთეზი, ახალი ნაბიჯი წინ. და მართალია ყოველი ახალი ნაბიჯი წინ, ყოველი ახალი სიტყვა მუსიკაში არის სალიერიისათვის არა მხოლოდ მუსიკის ძველი სისტემის რღვევა, უარყოფა, არამედ ის არის ამავე დროს მთელი მუსიკის დაღუპვა, ვინაიდან ძველი მუსიკა სალიერიის წარმოდგენას არის აბსოლუტური მუსიკა, რომლის სისრულეს არაფერი შეიძლება მიემატოს. ყოველი ნოვატორობა მუსიკის დაწავლა სალიერიის სრულიად გულწრფელად ეჩვენება მუსიკის დაწარგვად, მის აფეთქებად; იგი ისე როგორც, მაგალითად სუპაროკოვს დრამატურგიის დანგრევედ ეჩვენებოდა დიდროს სენტიმენტალური დრამა, ხოლო ასევე რომანიტიკოსური სკოლის კრიტიკოსი კაჩენოვსკის პოეტური ხელოვნების აფეთქებად მიანდაც პუშკინის „რუსლანი და ლილედილა“, რადგან ეს პოემა არ ეტეოდა ძველი ასევე რომანიტიკოსური პოემის მტკიცედ ვანსაზღვრულ ჩარჩოებში. პუშკინი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ხელოვნების ძველ სკოლას, და ეს ცოდნა მას, როგორც ვხედავთ, ძალიან მოხერხებულად გამოუყენებია სალიერიის ტიპის შესაქმნელად.

ხელოვნების ის ვაგება, რომელიც აქვს სალიერიის და რომელიც რაციონალისტურ ხასიათს ატარებს, საფუძვლად უდევს პუშკინის პიესაში სალიერიის ყოფაქცევას და მთელს მის ხასიათს. როგორც სალიერიის ესთეტიკური არაბა, ისე უნდა ფსიქოლოგიური არაბაც ლოგიკურად განსაზღვრულია ხელოვნების იმ რაციონალისტური კონცეპციით, რომელსაც იხიარებს სალიერი. მტკიცედ დარწმუნებულია იმაში, რომ მუსიკური ხელოვნება და სრულყოფილი აქვს თავისი პროგრესული განვითარება და მამასადამე ამ ხელოვნების აბსოლუტური ნიმუშები უფვე მოცემულია წარსულში, სალიერი თავის მთავარ ამოცანას ხედვას ან ნიმუშების შესწავლაში, ხოლო თავის ერთგულდამასა და სიყვარულს მუსიკისადმი ზომავს იმ ენერგიის რაოდენობით, რომელსაც ხარჯავს იგი მუსიკის ძველ მიღწევათა შესათვისებლად. ენერგიას კი სალიერი მართლაც ბევრს ხარჯავს ამისათვის; ვანუწყვეტლად მუშაობს ის, რათა შეისწავლოს მუსიკის „ალგებრა“ და ამ გზით დეპატრინოს მუსიკას, ისე როგორც ვაპატრინებთან ხოლმე, მაგალითად, ნიეთებს. სალიერიმ არ იცის, რომ მუსიკა არ არის ნიეთი, რომელიც შეიძლება თავისი კერძო საკუთრებად აქციო და ამათომე საჭიროებისათვის მოიხმარო.

პირიქით, სალიერიისათვის მუსიკა არის საწინდელ უსრული ნიეთი ან „ხელდარი“, რომელიც შეიძლება დაწავლა, ვანალიზო, ვანაწვეტრო, საშუალო საუკუნოების აღქმითი კონ-

მის მზავსად, რომლებიც ეძებდნენ ნივთებს „არსებას“ ამ ნივთების დასაპყრობად, სალიერიც ეძებს მათემატიკური ანალიზის საშუალებებით მუსიკის „არსებას“, რადგან დარწმუნებულია რომ ასეთი არსების აღმოჩენა შესაძლებელია და ვინც ამ არსებას იპოვნის, მას დაპყრობილი ეწეება მუსიკის სამყარო. მაგრამ რა ირკვევა ირკვევა, რომ მუსიკის დაპყრობა არ შეიძლება, და ვინც ასეთ რაგებს განიხრებას, ის თვითონ ხდება მუსიკის მიერ დაპყრობილი, თვითონ იქცევა მუსიკის მონად. მუსიკის მიერ დაპყრობილი მონა თუ არა, მას რა უნდა ეწოდოს სალიერის, რომ ლსაც ღამეები არ სძინავს ვანფუყვეტლ შრომაში, მაგრამ სიხარულს აქვდა არავითარს არ იღებს?

Отверг я рано праздные забавы;
Науки, чужды музыке, были
Постылы мне; Упрямо и надменно
От них отрезся я и предался
Одной музыке. Труден первый шаг,
И скучен первый путь. Преодолея
Я ранние невзгоды. Ремесло
Поставил я подножием искусству.
Я сделался ремесленник: перстам
Придал послушную, сухую беглость,
И верность уху
Нередко, присидев в безмолвной келье
Два, три дня, позабыв и сон, и пищу...
Я жег мой труд и холодно смотрел,
Как мысль моя и звуки, мной рожденные,
Пылая, с легким дымом исчезали.—

ასე ახასიათებს თავის მუშაობას სალიერი.

ამ სუცხოვო სურათიდან ნათლად ჩანს, რომ სალიერი არ იცნობს სიციკლის სიხარულს. მთელი თავისი არსებით ჩაფლულია ის თავის სპეციალობაში და ქვეყნულია მის მონად. რაც მუსიკის გარეშე იმყოფება, იმას სალიერი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ხოლო თავის თავში ის მხოლოდ მუსიკის სპეციალისტს სცნობს: სალიერის არსებებაში სპეციალისტმა ვადა ულაპა ადამიანი. არც კოლი, არც შვილი სალიერის აღარ ჰყავს, და ოჯახური გრძნობები მისთვის არ არსებობენ. სალიერი არის გამომწვრილი პედანტი, რომელიც დიდი ტანჯვით მიათრვას სიციკლის უღელს, კატომოყვარებობა და სხვა ამის მზავსი ადამიანური გრძნობები სალიერის დაბნული აქვს. ყოველ ადამიანს ის უღებდა მუსიკის ვიწრო სპეციალისტისა და არა ადამიანის უფრო ფართო თვალსაზრისით. საუცხოვოდ არაგად არის გამომწვრივებული სალიერის ეს თვისება პიესის იმ სცენაში, სადაც მათხოვარი მემუსიკო უყავს მოკარტის „დონ-ჟუანიდან“ ერთ პატარა არიას. სალიერი აღშფოთებულია, რომ ამ საწყალმა მათხოვარმა გააუღლა მშვენიერი მუსიკალური ქმნილება. რომ სალიერი ფართო ადამიანი ყოფილიყო და არა მშრალი პედანტი, არა თავისი სპეციალობის მონა, ის გაიგებდა, რომ მათხოვარს არ შეიძლება გაუჯავრდეს იმისათვის, რომ ის ლუკმაპურის მოსაპოვებლად ასრულებს დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებს. როგორც მუსიკის ვიწრო პედანტი, მუსიკის მონა, სალიერი მათხოვარ მემუსიკეში ამჩნევს მხოლოდ ცუდ მუსიკოსს, მაგრამ ვერ ხედავს საწყალ მათხოვარს.

ამიტომ სიბრალული გრძნობა ამ მათხოვარ მემუსიკის მიმართ სალიერისათვის უცხოა. თავის გულციგობას და სიმშრალეს სალიერი ფარავს ამ შემთხვევაში პაუტეტიკური ფრაზებით:

„Мне не смешно, когда маляр негодный
Мне пачкает Мадонну Рафаэля,
Мне не смешно, когда фигляр презренный
Пародией бесчестит Алигьери“.

მაგრამ ამ ფრაზებში მეტი პოზაა, ვიდრე გულწრფელი სიყვარული რაფაელის და დანტეს მიმართ.

ადამიანისადმი დამოკიდებულებაში სალიერი ამაყი და გულცივი ეგოისტია, ასეთივე ეგოისტია ის, არსებითად რომ ითქვას, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაშიც. მართალია, სალიერი თავს არ ზოგავს იმისათვის, რომ დაეპატრონოს მუსიკის ტექნიკას, მაგრამ ყველა ამას ის აკეთებს არა მუსიკისადმი უნებარო სიყვარულის გამო, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის მომავალი ხელნიერებისათვის. სალიერის სწყურია დიდი მუსიკოსის ბედნიერება, რომელსაც მოსდეს თან მრავალი ამ ქვეყნიური უპირატესობა: სიმდიდრე, ფუნქცია და ს. ა. სალიერი გავს იმ მუსიკოსს, რომელიც მზად არის ათასი გაკვირვება აიტანოს სიმდიდრის შესაგროვებლად და მომავალი განცხრობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. საბოლოო ანგარიშში მუსიკა კი არ უყვარს სალიერს, არამედ საკუთარი თავი. მუსიკა სალიერისათვის არის მხოლოდ საშუალება საკუთარი კეთილდღეობის შესაქმნელად და არა თავისთავად ღირებული რაობა. სხვანაირად რომ ითქვას, მუსიკა ისეთივე ნივთია სალიერისათვის, როგორც, მაგალითად, ქვაბი ან ქოთანია, რომლის საშობი მხოლოდ მის საარებლობაშია მოთავსებული. რა გასაკვირია, ამის შემდეგ, მუსიკას სალიერი უქცევრდეს როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება დამალო, რათა შესაფარდო მისი მექანიზმი და აქციოს ის შემდეგ თავის მოსახმარებელ იარაღად. ვულკანი, ამაყი, შურიანი, მშრალი, ვიწრო, თავის სპეციალობაში საესებით ჩაძირული, ჯუჯოტი პედანტი, რომელსაც ვული მთავარად აქვს დაეკტილი ადამიანური გრძნობებისათვის, მეფისტიფელსავე მუდამ დაღვრემილი. ასეთი არის სალიერი პუშკინის პიესაში დახასიათებული. ყველა ეს თვისებები ხელოვნების იმ კონცეპციის ლოგიკურ გაგრძელებას შეადგენს, რომელიც აქვს სალიერის. მთელი უბედურება სალიერისა ის არის, რომ მუსიკოსია, მაგრამ მუსიკის უნებარო სიყვარული არა აქვს და მისი შესაძლებელი განვითარებაც არ სწამს. მუსიკა წარსულშია სალიერისათვის მოცემული და არა მომავალში.

ამ კონცეპციამ ლოგიკურად განსაზღვრა არა მხოლოდ სალიერის ხასიათი, არამედ მისი დამოკიდებულებაც მოკარტისადმი—დამოკიდებულებაც, რომელზეც აგებულია პუშკინის მთელი პიესის მოქმედება. დარწმუნებული იმასში, რომ მუსიკამ დაასრულა თავისი განვითარება (თუ ამას საზოგადოდ შეიძლება „არწმუნად“ ეწოდოს სახელიად), სალიერი მტრული თვალთი უქცევს მუსიკის ყველას, ვინც არღვევს ძველი მუსიკის წესებს და ზედგან ახალი სიტყვის თქმას ამ დარტში. თუ მუსიკის განვითარება ყოველმხრივ დასრულებულია, თუ ამსოლოვრად სრული მუსიკა წარსულშია მოცემული, მაშინ უყოფელი ვადანებავს ამ ძველი მუსიკიდან იქნება არა ნაბიჯი წინ, არა პროგრესი მუსიკალურ ხელოვნებაში, არამედ ნაბიჯი უკან, რეაქცია.

სე ფიქრობს სწორედ სალიერო, რომელიც სასვედრო-სასი-
კოცხლოდ გადაიმტერა მოცარტის იმისათვის, რომ მო-
ცარტი ახალ სიტყვას ამზობდა მუსიკაში და ძველი მუსიკის
სახელებს არღვევდა. სალიერის სძლეს მოცარტი, ვინაი-
დან ფიქრობს, რომ ძველი მუსიკის წესების დარღვევით
მოცარტი სპობს საზოგადოდ ყოველს მუსიკას, ამ ძველი
მუსიკა, ან არავითარი მუსიკა,—ასეთია სალიერის შეხედუ-
ლების ლოგიკა, რომელსაც არ სწამს მუსიკის წინსვლის შე-
საძლებლობა, მუსიკის პროგრესი, მუსიკის მოძრაობა. რომ
სალიერის ჰქონდა მუსიკის უანგარო სიყვარული, მაშინ,
ცხადია, მას ეწებოდა რწმენაც მუსიკის პროგრესისადმი,
ვინაიდან ვაცს არ შეუძლია არ სწამდეს იმის მომავალი,
რაც მას უყვარს, მაგრამ მუსიკის უანგარო სიყვარულს მოკ-
ლებულ სალიერის არ აქვს მუსიკის მომავლის რწმენაც,
და საესებით ბუნებრივია, რომ მას სძლეს მოცარტი, რომ-
მელიც მუსიკის მომავლისათვის იფრუდა. სალიერის წარ-
მოდგენაში, მოცარტი სპობდა მუსიკას, რაკი ის თავის
შემოქმედებით არღვევდა ძველი მუსიკის წესებს. რომ
ძველის ყოველი რღვევა არის ანაბოლტურია მოს-
პობა, არამედ ახლის შექმნა—ი ამ დიალექტიკას სალი-
ერი არ იცნობდა. სალიერი მეტაფიზიკოსი იყო მუსიკაში,
ისე როგორც მეტაფიზიკოსები იყვნენ პოეზიაში ბუალო
და მისი თანამოაზრეები. საყურადღებოა ამ თვალსაზ-
რისით შემდეგი სიტყვები, რომლებსაც ათქმევინებს პუშ-
კინი სალიერის:

„Что пользы, если Моцарт будет жив
И новой высоты еще достигнет?
Подымет ли он тем искусство? Нет!
Оно падет опять, как он исчезнет:
Наследника нам не оставит он,
Что пользы в нем?“

საუცხოვოდ არის აქ გადმოცემული, რომ სალიერის
არ სწამს მუსიკის პროგრესს, არ სწამს, რომ ყოველი
ახალი ნაბიჯი წინ უჭევარდეს არ იკარგება და თავის შე-
დგეს იძლევა საერთო დონის ასამაღლებლად.

„უკლებდ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული
სულისკვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო
ჩემო, მაინც დარჩება.“

აი ეს რომანტიკული სულისკვეთება, რომელიც ასე
შეგენიერად აქვს გამოთქმული ქართველ პოეტს, სალი-
ერისათვის მოუწევინებელია. მისი აზრით, მოცარტისგან
არაფერი აღარ დარჩება ხელოვნებას, და თვის ის ნა-
ბიჯი წინ, რომელიც გააკეთა მოცარტმა, ის „მაღალი
ახალი მწვერვალები“, რომელსაც მიაღწია ამ დიდმა კომ-
პოზიტორმა, სალიერისათვის არის არა ნამდვილი ნაბიჯი
წინ, არა ქეშმარიტი ახალი მწვერვალები, არამედ მხოლოდ
მოჩენების ნაბიჯი წინ, მხოლოდ მოჩვენებითი მწვერ-
ვალები. ნამდვილი ნაბიჯი წინ მუსიკაში სალიერის კონ-
ცეპტით შეუძლებელია. ამიტომაც სალიერის წარმოდგე-
ნაში მოცარტი არის მხოლოდ სარეველა ბალახი, რომელ-
იც ამოვლავლილი უნდა იქნეს მუსიკის ყინული, და რაც
უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთეს იქნება მუსიკო-
სათვის.

მაგრამ სალიერის ქვე მხოლოდ მუსიკის ბედი კი არ
აღელვებს. უკეთ რომ ითქვას, სალიერის მუსიკის ბედი

სრულიადც არ აღლევს, ვინაიდან მუსიკის უანგარო
სიყვარული მას არ აქვს, ანგარობიანი სიყვარული კარ-
არის სიყვარული. სალიერის აღლევებს მუსიკის ბედი
და არა მუსიკის:

„Я избран, чтоб его
Остановить, не то мы все погибли.
Мы все, жрецы, служителии музыки“,

ამზობს სალიერი. როგორც ამ სიტყვებიდან ირკვევა
სალიერი ხედავს, რომ თავისი მოღვაწეობით მოცარტი
აუტუმბს მუსიკის ძველ წესებს და ძირს უთხრის ამ წესე-
ბის ხარვეზ არსებულ მოცარტისა სამაქროს, ის ისე, რო-
გორც, მავალიად, კარტირბმა მექანიკური სასიკოვი
დაზგის გამოგონებით გააუქმა სასიკოვი წარმოების ძველი
წესები და ძირე გამოუთხარა ფეიქართა სამაქროს. სა-
ლიერის სიძულვილი მოცარტისადმი არსებითად იმავე
საუფქველზეა დამყარებული, რომელიც საშუალო საუფქ-
ნობის სამაქროებს ამხედრებდა წარმოების ტექნიკის
ყოველგვარი გაუმჯობესების წინააღმდეგ. და რომელიც
არ ინდობდა არავითარ ინიციატივას, არავითარ წინ-
სვლას. სალიერი უღვებდა მოცარტს მუსიკოსთა სამაქროს
კეთილდღობის თვალსაზრისით. კიდევ უკეთესი იქნე-
ბოდა, თუ ვიტყვილით, რომ მუსიკოსთა სამაქრო არის
სალიერისათვის შირმა, ნამდვილად კი სალიერი უღვებდა
მოცარტს მარტო თავისი საკუთარი კეთილდღობის
თვალსაზრისით, ვინაიდან ადამიანის უანგარო სიყვარუ-
ლი სალიერისათვის საზოგადოდ უცხოა. სალიერის მიღ-
ვება მოცარტისადმი იმ პრინციპს უფლისძმობს, რომ მე-
სიკოსები კი არ არსებობენ მუსიკისათვის, არამედ მე-
სიკა არსებობს მუსიკოსებისათვის: რაციონალისტის სა-
ლიერი ფსიქოლოგობა თავის ქცევაში, და სულ ცო-
ტადიენი გამპრიზობა საკმარისია, რომ სალიერის სა-
ხეში მომავალი პოზიტივისტი დავინახოთ.

ყოველ ახალ სიტყვას მუსიკაში, რომელიც არევეს
გამატონენტულ ტრადიციას და სახიზოთაო მუსიკის ხელო-
ნებისათვის, სალიერი ემტერება. ის კონსერვატორია
მუსიკაში, მას ხელოვნანის ფსიქოლოგია აქვს. ის ეწვი-
ნაღმდებება ყოველგვარ ინიციატივას, ყოველგვარ ცვი-
ლებას თავისი სპეციალობის დარგში. სალიერი განსა-
ხიერება ტრადიციის იმ ინერციისა, რომლის გადა-
სახვასა და მოსწანაში უნდაღვება ყოველი განვითარება.
სალიერი ძლიერია, რადან მას ზურგს უმარებდა ათასე-
ბისა და ათათასების ინერცია, სიზარმაცე, ეგოიზმი.
სალიერის პირით ლაპარაკობს ინერციული და უკარგად
შემპირობებული უმრავლესობა, რომელიც სძულდა
რომანტიკოსების მემარტხენე ფრთას...

სალიერის სურს დაიპყროს ხელოვნება და ამიტომაც
არის ის ხელოვნების მონად ქვეული—იღ დედაზარი იმ
გენიალური დახასიათებისა, რომელიც მისკ თავის გმირს
პუშკინმა. წინააღმდეგ ამისა, პუშკინის პიესის მეოთხე გმი-
რის, მოცარტის, დახასიათებას უღვეს შემდეგი აზრი:
მოცარტს სურს ხელოვნების მიერ იქნეს შეპყრობილი და
სწორედ ამიტომ არის ის თავისუფალი ხელოვნანი. ხე-
ლოვნების მონა სალიერი და თავისუფალი ხელოვნანი მო-
ცარტი—ასეთია პუშკინის პიესის ძირითადი ანტიოფობა.
რომელიც ორივე გმირს ერთი ლოგიკური მორალისათვის წა-
სწრებდა აქვეყს. მოცარტის ყოველი ნიშანი არის ამი-
ტომ სალიერის ნიშნის ანტიოფობა, მისი უარყოფა.

თუ სალიერისათვის მთელი მუსიკა ან აბსოლუტური მუსიკა (ე. ი. მუსიკის უნაღონესი მიწვევები) წარსულში არის მოცემული, მოცარტისათვის უცნობა წარსულის ასეთი კერძოაყენისმცემლობა. მოცარტისათვის წარსული მხოლოდ წარსულია, რომელიც (რაგინდ დიდი არ იყოს იგი) გზას ვერ გადაჭრის მომავალს. მართალია, მუსიკის პიესაში მოცარტი არ ამბობს ამას explicite, მაგრამ აიხსნება ეს მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მოცარტს არ უყვარს ხელოვნების შესახებ გრძელ-გრძელი მსჯელობა: მოცარტს უყვარს მუსიკა და არა მსჯელობა მუსიკის შესახებ, არა „расуждате.льство“, ვინაიდან მოცარტი არის მხოლოდ დიდი პრაქტიკოსი, დიდი შემოქმედელი მუსიკოსი. სამაგიეროდ თავისი შემოქმედების პრაქტიკით მოცარტი ამტკიცებს, რომ ის არ არის მუსიკაში წარსულის მონა. პირიქით, მოცარტე ნოვატორია მუსიკაში, ის ახალ ნაბიჯს აეთავს წინ, ის სინთეტიკოსია, შემოქმედელი და, სალიერისავე განსხვავებით, არ ცნაყოფილდება იმით, რომ დიდ-დიდ ავტორიტეტებს მისდიოს ვეცად და კვალ. რაც ანტს „წინადა გუნების კრიტიკაში“ ნათქვამი აქვს ანალიტიკურ და სინთეტიკურ მსჯელობათა უფიორთ განსხვავების შესახებ, ეს პუშკინს მხატვრულად აქვს განსახიერებელი სალიერისა და მოცარტის ურთიერთ შორის განსხვავებულ ტაბეში. სხვების მიერ გატყვებილი გზა არ არის მოცარტისათვის ერთადერთი გზა მუსიკაში. პირიქით, მოცარტს არ აკმაყოფილებს ეს გზა, როგორც უკვე ვაილილი და მოსაწყენი, და ამით მოცარტის ამხედრებს თავის წინააღმდეგ მუსიკის კონსერვატორებს, რომლებიც თელისუფილო ჯეტიკონს ენლატეკმინა წარსულს, თითქო წარსულის დაქვერა და უტყუელად შენარჩუნება შეიძლებადეს. რაც ერთხელ იყო, ის კვლავ არ იქნება და არც არის სპეირს, რომ იქნეს—არ ის რწმენა, რომელიც სარწოლად უნდა მოცარტის მუსიკალურ მოღვაწეობას, ასეთივე რწმენა ჰქონდა ანტიკური კაცობრიობის დიდ დიალექტიკოს ჰერაკლიტე ფესელს. თუ სალიერის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არის მეტაფიზიკოსი მუსიკაში (ვინაიდან სალიერისათვის მუსიკა არის დასრულებული, მეტაფიზიკური აბსოლუტი), მოცარტის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის არის დიალექტიკოსი მუსიკაში, ვინაიდან მისთვის მუსიკა არის შემოქმედება და პროცესი, ეს ის დიალექტიკაა, რომელიც მთელი რომანტიკული ხელოვნების შეუვნებელ წინამძღვარს შეადგენდა და რომელიც ამ რომანტიკული ხელოვნებშიდ გამოჰყვის XIX საუკ. დასაწყისში გერმანულ ფილოსოფოსებმა შელინებმა და ჰეგელმა.

თუ სალიერი მხოლოდ მეჯიოთი მოწაფეა მუსიკაში, მოცარტი არის დაბოუკიდებელი ან თავისუფალი შემოქმედელი, რომელიც მხოლოდ საკუთარ შთაგონებას ემორჩილება და არა ვისიმე ავტორიტეტს. ამენად შეიძლება ითქვას, რომ მოცარტი არის პიროვნების მოვლენა მუსიკის კერძო სფეროში.

თუ სალიერისათვის მუსიკა არის მძიმე ულელი, ტანჯვა; მოცარტისათვის მუსიკა არც მძიმე ულელია და არც ტანჯვა. ყოველ შემთხვევაში, პუშკინის პიესაში მოცარტის ტანჯვის შესახებ ათაფერია ნათქვამი, მოცარტი არ გრძობს მუსიკის სიმძიმეს. რა თქმა უნდა, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოცარტს არ ვაგვიღოს ის სასტიკი სკოლა მუსიკის ტექნიკის შესაბამისებლად, რომლის შესახებ ასე მწარედ მოგვითხრობს სალიერი: ბგერათა ანალიზისა და

თითების მოცარტის გამომუშავების პერიოდ უეჭველდ ეწეობდა მოცარტსაც, მაგრამ თავისი ცხოვრების იმ მომენტში, რომელიც აღწერილია პუშკინის პიესაში, მოცარტს უკვე დათმარებულ ჰქონდა ეს პერიოდი, რომელიც მოწაფეების პერიოდი უნდა ეწოდოს და რომელიც სალიერისათვის არ იყო ჯერ კიდევ დასრულებული და არც დასრულებულია არასდეს, ათასი წელიწადიც რომ ეცეკვლა სალიერს. პიესაში მოცარტი წარმოდგენილია არა მისი მუსიკალური მოწაფეობის, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედების სტადიაში.

მოცარტის სახით პუშკინი იძლევა ხელოვნების იმ იდეალს, რომელიც ჰქონდა მას თვითონ, ე. ი. თავისუფალ ხელოვნას, რომელსაც აღარ სჭირია უკვე მუსიკის ანატომიური შესწავლა, არ სჭირია მუსიკის ანალიზი და მისი მათემატიკური ჰარმონიის განხილვა მშრალი განსჯის საშუალებით. უაზიზიდაც იყო „მოცარტმა მუსიკა, ვინაიდან ეს მუსიკა, მთელი თავისი ჰარმონიით და ამ ჰარმონიის ალგებრული კანონებით, მოცემულია უკვე მოცარტში, როგორც მისი საკუთარი სულის ორგანიზილი ნაწილი. მოცარტისათვის მუსიკა უფრო ახლია, უფრო ინტიმურია, ვიდრე მისი გული, რომლის ანატომიის ცოდნა არ სჭირია პატრონს იმისათვის, რომ ეს უფლი წესიერად მუშაობდეს. ეს არ ნიშნავს, ცხადია იმას, რომ მუსიკა მოცარტს დედის საშინად გამოჰყვა მზა-მზარეულად, გულის ან ფილტვების მსგავსად. მოცარტიც სწავლობდა უეჭველად ერთ დროს მუსიკას, ისე როგორც სალიერი; და მასაც ექნებოდა, მამასაძამე, შრომის ის არა-სასა-მოგო განცდები, რომლებიც, მამონ, დაკავშირებული იყო სწავლის ყოველ პროცესთან, მაგრამ თუ სალიერისათვის მუსიკის შესწავლა, მისი ტექნიკის დაუფლება იყო მეტისმეტად მძიმე ულელი, რომლის აჯანა სალიერისავედ მოითხოვდა დიდს ნებისყოფას, ცნობიერების დაძაბვას, ნების მიერ ყურადღებას,—მოცარტისათვის მუსიკის ტექნიკის შესწავლა უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, უფრო მსუბუქე ამოცანა, რომლის გადაწყვეტამ მოცარტს მესიერებაში კვლიც კი აღარ დასტოვა, ვინაიდან მოცარტი ერთხელად არ ახსენებს თავის მოწაფეობის გაცეითლებს, სალიერი კი სულ ამ მოწაფეობის ტკივილებზე წუწუნებს პუშკინის პიესაში. რით იყო მეტი გამოწვეული ის, რომ სალიერისათვის მუსიკის ტექნიკის შესწავლა იყო ძალანა მწელი და მოცარტისათვის კი ძალანა ავილი? ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მოცარტს სხვანაირად იყო განწყობილი მუსიკისადმი, სალიერი კი სხვანაირად. მოცარტის ამ განწყობილებას მუსიკისადმი შეიძლება ეწოდოს სიყვარული, მიდრეკილება, სიმპატია ან კიდევ სხვა რომელიმე სახელი: სიტუვა არ არის აქ მთავარი. მოცარტს ჰქონდა მიდრეკილება ან სიყვარული მუსიკისადმი, რომელიც აქვდა სალიერის. საიდან მოვიდა ეს სიყვარული, ეს მიდრეკილება, ამ საკითხს ეცლა არ აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ მოცარტს უყვარდა მუსიკა, მას იმ თავითვე ჰქონდა მუსიკის მიმართ ის, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგიები დაარწმუნენ დისპოზიციას. აი ამ მიდრეკილებამ, ამ სიყვარულმა გაუშუქებუა მოცარტს მუსიკისათვის შრომა: საყვარული კაცისათვის კაცს შეუძლია მთა-ბაზი შემოიაროს და ეს მას მძიმე საქმედ მაინც არ მოეჩვენება. მაგრამ უცხო საგნისათვის კაცს ერთი ნაბიჯის გადადგმა კი დიდ მსხვერპლად მიაჩნია. სწორად ასე მძიმე იყო სალიერისათვის

მუსიკის ტექნიკის შეთვისება და მსუბუქი იყო იგი მოცარტისათვის, ვინაიდან სალიერის აკლდა ის სიყვარული, ის მიბრუნებდა მუსიკისადმი, რომელიც ჰქონდა მოცარტს, თუ სალიერისათვის მუსიკა იყო შრომა, მოცარტისათვის მუსიკა იყო სიხარული, ვინაიდან სხვადასხვა იყო მათი განწყობილება მუსიკისადმი: ჩვენი განწყობილების ცვლილებასთან არის ხშირ დაპოყვნილებული სიმძიმისმსუბუქების განცდილ ცვლილება. თუ სალიერისათვის მუსიკა იყო და დარჩა უცხო ნივთად, მოცარტმა მიადარა განვითარების იმ დონემდე, როდესაც მუსიკა იქცა მისთვის მისი საყოფარღო ცოცხალი „მე“, რომლისათვისაც ეს შეუძლია რაიმე დაინანოს და მსხვერპლად მიიჩნოს.

ამიტომ არის სწორად, რომ მოცარტი თავის თავს ეძახის „ПРАВДИИ СЧАСТЛИВЕЦ“. ამ სახელწოდებით მოცარტს ის კი არ უნდა თქვას, რომ იგი ზარბაძია და არაფერს აკეთებს, როგორც ეს წარმოუდგენია, მაგალითად, სალიერის, რომელიც ამბობს, რომ მოცარტი არის „ГУЛЯКА ПРАВДИИ“: პირიქით, მოცარტი ვაკილებით უფრო მომპყვნილი და უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე სალიერი: შედარებაც კი არ შეიძლება მოცარტის ერთი სამუშაო საათი ალბათ იმდენს კონცერტირებულ ენერჯის შეიცავდეს, რამდენიც არ ჰქონდა სალიერის 20 საათის სამუშაო დროს, რომელიც უმეტესად ვაგსებული იქნებოდა უსარგებლო ნარევით (თამბაქოს მოწვევით, ძველი ნოტების გადაფურცვლით და სხვა). როდესაც კაცი მუშაობს იმ საგანზე, რომელიც მას არ უყვარს, მისი ყურადღება მაღვ იღლება და იფანტება; როდესაც კი კაცი საყვარელ საგანზე მუშაობს, მას ეს სიყვარული ამხნევებს მუშაობაში, ის მთელი თავისი არსებით მუშაობს, მისი ყურადღება არ იფანტება. საფორტებელია, რომ თავის ოპერებზე მუშაობის საათებში მოცარტი არ აბოლებდა თამბაქოს, სალიერი კი მუშაობის დროს ხშირ-ხშირად ისვენებდა ალბათ და ართობდა თავს ისეთი რამეებით, რასაც მუსიკისთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ამგვარად მოცარტი უფრო მეტს მუშაობდა მუსიკისათვის და უფრო მეტ პროდუქციასაც იძლეოდა, ვიდრე სალიერი. მაგრამ ის, რასაც მოცარტი მუსიკისათვის აკეთებდა, სასიამოვნო გართობად ეჩვენებოდა მას, ვინაიდან მუსიკა იყო მოცარტისათვის საყვარელი სფერო, სადაც იგი პოულობდა იმ სიხარულს, რომელსაც ვერ პოულობდა იქ სალიერი, რადგან ამ უკანასკნელს აკლდა მუსიკის სიყვარული. პუშკინსაც აქვს ეს გარემოება აღნიშნული, როდესაც ის თავის პიესაში ასეთ სიტყვებს ათქმევინებს მოცარტს: „МНЕ БЫЛО-БЫ ЖАЛЬ РАСТАТЬСЯ С МОЕЙ РАБОТОЙ“ ამრავალ მოცარტი სრულიადც არ არის ზარბაძი და უშრომელი „ГУЛЯКА“, როგორც ამას მუხრანის სალიერი ღაპარაკობს. ოღონდ შრომა მუსიკის სასარგებლოდ არის მოცარტისათვის სიხარული, რადგან მოცარტს უყვარს მუსიკა და ამ მუსიკაში ხელდას იგი თავის „მე“-ს.

სიყვარული მუსიკისადმი აძლევს მოცარტს საშუალებას ამაღლებს ცხოვრების სწრაფობან მოთხოვნილებებზე, ის არ არის დამონებული ამ მოთხოვნილებათა დაქაყოფილების აუცილებლობით, ვინაიდან მუსიკის სიყვარული შევლის მას. ამიტომ არის მოცარტი ყოველთვის მხიარული. ის ხშირად ბუტბუტობს თავისთვის რაიმე სიმღერას. მას შეუძლია თამაში, ხუმრობა, ცეკვაობა, რაც მუ-

დამ დაღვრემილი სალიერისათვის შეუძლებელია. თუ სალიერის შეგნების მთელი ძალა მუსიკას სჭირდება, სხვა აღმანიერ მოთხოვნილებებისათვის მას უკვე აღარ ყოფნის ძალა, მოცარტი უფრო თავისუფალ-პრესებას, რომელსაც შეუძლია თავის თავის შესახებ თქვას: „Homo sum et nihil humanum a me alienum puto“. მოცარტი, მაგალითად, არ ცნაყოფილება სალიერის მსგავსად როსკინი ქალის (ზორა) სიყვარულით, არამედ მას ჩვეულებრივ ადამიანსავით აქვს ოჯახი, ჰყავს ცოლი და შვილი. სალიერისათვის კი ოჯახი იქნებოდა ისეთი ტვირთი რომელსაც ის ვერ გაუძლებდა, რადგან მთელი მისი შეგნებული ენერჯია მუსიკის უნდობდა. ცხოვრების საკვირველი ცოდნით და უმაღლო ოსტატობით შეტანილი აქვს პუშკინს თავის პიესაში ერთი დეტალი: სალიერი პატრებს საიღზე მოცარტს, უკანასკნელი თანახმა ისილია სალიერისთან, მაგრამ ჯერ მიდის თავის სახლში, რათა გააფრთხილოს ცოლი, რომ საიღლად მას აღარ ელვლება. ეს უნდა ელვება და მზრუნველობა თავის ცოლზე ჩვეულებრივი საქმეა ჩვეულებრივი ადამიანისათვის. მაგრამ სალიერი ამისათვის ეერსადრეს ვერ მოიკლავდა. მოცარტი კი იცის, რადგან ის მუსიკის მონა კი არ არის, არამედ თავისუფალი მუსიკოსია. ამ მეორე დამახასიათებელი დეტალიც. მოცარტს ჰყავს პატარა შვილი, რომელიც მას უყვარს და რომელსაც ის ხშირად იატაკზე დამჯდარი ეთანამშობს. სად მოიკლავდა ამისათვის საბარო სალიერი, რომ მას შვილი ჰყოლიდა! თუ სალიერი თავის სპეციალობაში არის საგნებში ჩადირული, და ადამიანს თავის გარშემო ვერ აჩნევს, მოცარტს ყოფნის ძალა იმისათვის, რომ თავის გულში დატოვოს ადგილი ადამიანურ გრძნობებისათვის. მოცარტს უყვარს მეგობრები, თუმცა ზოგჯერ ასეთ მეგობრად თვლის თავის მტრებს და მოღალატეებს: „За искренний союз, связующий Моцарта и Сальери“, ამბობს მოცარტი ასეთ საღვრემელს, დაიწმენებული, რომ მის მეგობარი არის ის სალიერი, რომელმაც მოასწრო უკვე მოცარტის ქეჟში შხამის ჩაყრა. მოცარტისგან განსხვავებით სალიერის მეგობრების სიყვარული არ შეიძლება ჰქონდეს. ადამიანისათვის მოცარტს არ აქვს გული დაბნული.

მათხოვარი, მაგალითად, მოცარტისათვის არის მათხოვარი, რომელსაც სჭირია შეცოდება და დახარება, თუ სალიერი ცნავს ვაგაფო მათხოვარი მესუსევე, მოცარტს სჭირად სკნო ეჩუქება მისთვის ორიოდ გროში და ალერსიანად გაესტუმრებია. რატომ იმითომ, რომ მოცარტი იყო არა ხელოვნების მონა, არამედ ხელოვნების კანონმდებელი. რომანტიკოსები ეძახიან ხელოვნების კანონმდებელს „გენიოსის“ სახელს. მოცარტი იყო მუსიკის გენიოსი, სალიერი კი იყო მხოლოდ მუსიკის მოწაფე. მუსიკის ხელოვნება, მუსიკის მონა.

მიუხედავად იმისა, რომ მოცარტი მუსიკის გენიოსია, ის არ ამაყოფს ამით. მოცარტი უფრო თავდაბალი და სულადამიანი, ვიდრე ცოვი და მოყარებელი სალიერი, რომელსაც თავისი თავი გენიოსად მიანიჭა: „А ЖЕЛИ Я... НЕ ГЕНИЙ?“—ეკითხება თავის თავს სალიერი. ცხადია, ვისაც ასეთი კითხვის დაყენება შეუძლია, მას უმეტესად პრეტენზიები უნდა ჰქონდეს გენიოსობაზე. ასეთი პრეტენზიებისგან ქვეშაობი გენიოსი თვისებულად უნდა იყოს. მისი გენიოსობა უნდა აძლევდეს მას საშუალებას უპრეტენზიოდ და თავდაბალი კაცი იყოს. სიძარული

უთხრა ამიტომ სალიერი მოცარტს: „Ты, Моцарт, бог, и сам того не знаешь“. მოცარტმა კი სალიერის ეს სიტყვები ზუმრობად აქცია:

„Вa! право? можетъ быть...
Но божество мое проголодалось.“

ასეა ყოველთვის: ნ. მდილი გენიოსი ყველაზე უფრო გვიან შეიტყობს ხოლმე, რომ ის გენიოსია. ვინც კი სხვებზე ადრე ფიქრობს, რომ ის გენიოსია, ის უშეველად არ არის გენიოსი.

თუ სალიერის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის ტლანქი პოზიტივისტია, რომელიც ამჩნევს მხოლოდ იმას, რაც მისი გარეგნული გარემოებისათვის არის მოცემული, მოცარტს აქვს უფრო ნაზი სულიერი ორგანიზაცია (გავისხენოთ „Моя бессонница“), რომელსაც სწვდება არა მხოლოდ ის, რაც ახლოა, რასაც თითები ეხება და თვალბი ხედავს,—არამედ ის, რაც დაშორებულია და რაც ამ დაშორების გამო თვალისათვის ჯერ კიდევ უხილავია:

„И вняв я неба содроганье,
И горный ангелов полет,
И гад морских подводный ход,
И дольней лозы прозябанье.“

ამბობს პუშკინის „წინასწარმეტყველი“. იგივე შეეძლო თავის თავზე ეთქვა მოცარტს, რომელიც წინასწარ გონისხა რადიკალიზად თავის მოახლოებულ სიკვდილს, თუმცა არავითარი ხელსახები ნიშანი ამისათვის არ არსებობდა. გავისხენოთ რექვიემის ისტორია, რომელიც ასეთი საკვირველი ოსტატობით გამოკეთებულია პუშკინის პიესაში.

„Мне день и ночь покой не дает
Мой черный человек. За мною всюду,
Как тень, он гонится. Вот и теперь
Мне кажется, он с нами сам—третий сидит.“

ასე ეხებება სიკვდილის ბუნდვო ნი წინ გარძნობით შეხებული მოცარტი თანამოსადილე სალიერი, რომელსაც უკვე მომზადებული აქვს მზამი მოცარტის ქიქაში ჩასაყვლად.

„И, полно! что за страх ребячий!
Разсей пустую думу!“

უპასუხებს მოცარტს სალიერი, რომელმაც იცის, რომ სალიერის წინათგონობა არ არის „пустая дума“, მაგრამ ენორჩილება ლაპარაკის იმ პოზიტივისტურ ფორმას, როგორც სალიერის ძვალბრძოლი აქვს. ვაზჯღ რი და რომლის თვალსაზრისით ყველაფერი, რაც თითებისათვის არ არსებობს, არის „пустая дума“, ცარიელი ოცნება, მცლარი ფანტაზია.

სესი არის დახასიათებული მოცარტი პუშკინის პიესაში. ამ დახასიათებას ემატება კიდევ ერთი მომენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავხედოთ მხატვრული შემოქმედების პროცესში. სალიერისთან სტუმრად შემოსული მოცარტი უპაზობს თავის მეგობარს თუ როგორ დაწერა მან ერთი პატარა მუსიკალური პიესა, და შემდეგ უტრავს ამ პიესას ფორტპიანოზე:

„ Намедни ночью
Бессонница моя меня томла,
И в голову пришли мне две-три мысли.
Сегодня я их набросал...
Представь себе... кого бы?
Ну, хоть меня—немного помоложе,
Влюбленнаго, не слишком, а слегка;
С красоткой, или с другом—хоть с тобой;
И весел... Вдруг виденье гробовое,
Внезапный мрак или что-нибудь такое...
